აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№30 (25.158) 9 აგვისტო, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 27-32 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 27 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა ელჭექით.

მამულისათვის თავდადებულ გმირებს პატივი მიაგეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მანანა ტაკიძე 593 10 15 17

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 16 ტკივილიანი წელი გავიდა. თითოეული ქართველის წმიდათაწმიდა მოვალეობაა, პატივი მიაგოს მამულისათვის თავგანწირულთა ნათელ ხსოვნას. ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებიდან 2008 წლის აგვისტოში ქართულ ჯარში 3000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი მსახურობდა. მრავალი მათგანი ახლაც აგრძელებს სამსახურს და პირადი წვლილი შეაქვს საქართველოს თავდაცვის საქმეში. ბევრი კი...

8 აგვისტოს აჭარის მთიანეთში იმყოფებოდნენ და გმირებს პატივი მიაგეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ, აჭარის საკანონმდებლო ორგანოების წევრებმა, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოების წარმომადგენლებმა, გმირების ახლობლებმა.

აგვისტოს ომმა სიცოცხლე მოუსწრაფა ასლან შაინიძეს. ის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანაში დაიბადა. 1989 წლის 19 აპრილის სტიქიური უბედურების შემდეგ, მისი ოჯახი საცხოვრებლად ბოლნისის რაიონის ახლად აღორძინებულ ქართულ სოფელ დისველში გადავიდა საცხოვრებლად. ასლანი ქართულ ჯარში დისველიდან წავიდა და ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა. მისი სახელისა და გმირობის უკვდავსაყოფად დისველში ძეგლი დაიდგა, ხოლო სხალთაში, შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმის წინ, მემორიალი გაკეთდა. ტრადიციულად, ყოველი წლის 8 აგვისტოს მთავრობის წევრები, საზოგადოების წარმომადგენლები, საჯარო მოხელეები, ახლობლები გვირგვინითა და ყვავილებით ამკობენ გმირის უკვდავსაყოფად გაკეთებულ მემორიალს. ასე იყო წელსაც.

ხულოში იყვნენ დაბადებული თეიმურაზ ბერიძე და მალხაზ აბაშიძე. ისინი სხვა რაიონებიდან იყვნენ გაწვეულნი ომში. ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ არც მათი საქმე და სახელი დატოვა დაფასების გარეშე და კვატიასა და ვერნებში მათ უკვდავსაყოფად მემორიალები გააკეთა. მათი მემორიალებიც გვირგვინებით შეამკეს და გმირების ნათელ ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

მოქმედ ჯარში ხულოდან იყვნენ გაწვეული ირემაძეებელი მერაბ ჭელიძე და ბეღლეთელი ნადიმ ართმელაძე. მათი სამუდამო სასუფეველი მშობლიურ სოფლებშია. მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე და ფრიდონ ფუტკარაძე გმირების საფლავებთან, მემორიალებთან საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად მივიდნენ და გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს.

შინდისის ბრძოლების გმირია შუახევის რაიონის სოფელ კარაპეტში დაბადებული,

შემდეგ ოჯახთან ერთად ქვემო ქართლში გადასული რომან ზოიძე. მისი გმირობისა და თავდადების უკვდავსაყოფად ხსოვნის მემორიალია გაკეთებული ნაჭივრის (ოლადაურის თემი) კულტურისა და დასვენების პარკში.

აგვისტოს ომმა შეიწირა ბარათაულელი ამირან მამალაძე და ბუთურაულელი იაგო მიქელაძე. ისინი დაოჯახებულნი არ იყვნენ. მათი გმირობის უკვდავსაყოფად მემორიალები გაკეთდა ხიჭაურის დასახლებასა და ზამლეთში. ამირანისა და იაგოს საფლავებთან, მემორიალებთან მივიდნენ, გვირგვინები და ყვავილები მიიტანეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატებმა ანზორ ბოლქვაძემ და ფრიდონ ფუტკარაძემ, შუახევის მერიისა და საკრებულოს პასუხისმგებელმა პირებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა, ომში დაღუპული ჭაბუკების ახლობლებმა.

- დღეს პატივს მივაგებთ იმ გმირ ჯარისკაცებს, სამოქალაქო პირებს, რომლებმაც ყველაზე ძვირფასი, სიცოცხლე გასწირეს ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის, მისი თავისუფლებისთვის და ძალიან დიდ, უთანასწორო ბრძოლაში შეძლეს ვაჟკაცურად წინააღმდეგობის გაწევა... მაღალმთიან აჭარაში ბევრი ასეთი გმირი გვყავს, რომელთა მაგალითებზე მომავალი თაობა აღიზრდება. ამ ადამიანების ხსოვნა, მათი გმირობა ყველას გვავალდებულებს, რომ აღვასრულოთ თითოეული ქართველის ოცნება - ვიცხოვროთ გამთლიანებულ საქართველოში და ეს გავაკეთოთ მშვიდობიანი გზებით, - განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ. თორნიკე რიყვაძის თქმით, იმჟამინდელი ხელისუფლების გაუთვლელობა, უპასუხისმგებლობა, მოღალატეობრივი ქმედება უნდა შეფასდეს და მოღალატე რეჟიმი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ სახით იყო, უნდა გასამართლდეს 2008 წელს დაკარგული ტერიტორიებისთვის.

ბრძოლის ველზე მიტოვებული მერისელი ფრიდონ თურმანიძის ცხედარი დიდი რიტოვა, რომლებსაც მისი ქვრივი და მშობლები ზრდიან.

ქვეყანა, ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა სათანადო პატივს მიაგებს ფრიდონის ხსოვნას, მის სახელს ატარებს დიდი ტრადიციების მქონე მერისის საჯარო სკოლა. წელსაც გმირის საფლავთან მივიდნენ, გვირგვინი და ყვავილები მიიტანეს ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, მერიისა და საკრებულოს წევრებმა.

* * *

აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს, ასევე, ბათუმში. რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, ბათუმის მაჟორიტარმა დეპუტატმა საქართველოს პარლამენტში რესან კონცელიძემ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ და რეგიონის მინისტრთა კაბინეტის წევრებმა ყვავილებით შეამკეს. ღონისძიებას ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებიც ესწრებოდნენ.

- 16 წელი გავიდა 2008 წლის აგვისტოს ომიდან, რომელიც ერთ-ერთი ტრაგიკული მოვლენაა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. ამ ომმა შეიწირა ასეულობით ჩვენი მოქალაქის სიცოცხლე და მოუშუშებელ ტკივილთან ერთად, დაგვიტოვა სამშობლოსთვის თა-

სკის ფასად გამოიტანეს მერისის საექიმო ამბულატორიის ექიმმა ანზორ ბროლაძემ და საჯარო მოხელე ჯემალ შარაშიძემ. ოკუპანტებმა ცხედარს თავი მოჰკვეთეს და უმისამართოდ გააქრეს. ანზორმა და ჯემალმა ჯარისკაცის ფარაჯაზე გაკეთებული წარწერით შეძლეს ფრიდონის ცხედრის ამოცნობა. იგი მერისში გადმოასვენეს და მშობლიურ მიწას მიაბარეს. ფრიდონმა ობლად ორი ქალიშვილი დავდადებისა და გმირობის არაერთი მაგალითი, რომელიც უკვალოდ არ ჩაივლის. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად აღდგება და ერთიანობისთვის თავგანწირულ გმირთა სახელები არასოდეს მიეცემა დავიწყებას. პატივს მივაგებ დაღუპულთა ხსოვნას და ჩვენი გმირების უკვდავ სახელებს, - თქვა არჩილ ჩიქოვანმა

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

„მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, პატივი სცეს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის 16 წლისთავთან დაკავშირებით განცხადება გამოაქვეყნა

„2024 წელს 16 წელი სრულდება რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიიდან. 16 წლის შემდეგაც რუსეთის ფედერაცია აგრძელებს საქართველოს განუყოფელი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციას, ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევითა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმების სრული უგულებელყოფით, რაც დასტურდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2021-24 წლებში მიღებული არაერთი გადაწყვეტილებით.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უკანონოდ განთავსებული რუსული სამხედრო ბაზები, საოკუპაციო ძალების მიერ რეგულარულად ჩატარებული სამხედრო წვრთნები, საოკუპაციო ხაზზე ხელოვნურად აღმართული ბარიერები, საქართველოს მშვიდობიან მოქალაქეთა მკვლელობები, უკანონო დაკავებები, ქართველთა ეთნიკური დისკრიმინაცია და რუსეთის მიერ განხორციელებული სხვა დესტრუქციული ქმედებები კიდევ უფრო აუარესებს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ მყიფე უსაფრთხოების და ჰუმანიტარულ გარემოს. ამავდროულად, რუსეთი დღემდე აბრკოლებს ადგილზე საერთაშორისო ორგანიზაციების შეუზღუდავ წვდომასა და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების განლაგებას.

საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის შექმნით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო არჩევნების ჩატარებით, დასახლებული პუნქტებისა და სტრატეგიული ობიექტების გადაფორმებით, საოკუპაციო რეჟიმებთან სხვადასხვა სახის ინტეგრაციული ე.წ. ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების დადებითა და განხორციელებით, რუსეთი მიზნად ისახავს საქართველოს განუყოფელი რეგიონების რუსეთის პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, სოციალურ სისტემებში ინტეგრაციას და ხელს უწყობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის იზოლაციაში მოქცევას როგორც დანარჩენი საქართველოსგან, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისგან.

საქართველო განუხრელად აგრძელებს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის განხორციელებას და მიზნად ისახავს, რომ დიპლომატიური და სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით, საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, უზრუნველყოს ქვეყნის დეოკუპაცია, მშვიდობიანი გამთლიანება და განვითარება. საქართველო განაგრძობს კონსტრუქციულ ჩართულობას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში, რომლის მთავარი მიზანია ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხების გადაწყვეტა. საქართველოს მთავრობა დგამს ნაბიჯებს საოკუპაციო ხაზით გაყოფილ საზოგადოებებს შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის უზრუნველსაყოფად და საერთო ევროპული მომავლის მშენებლობისკენ.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ხაზს უსვამს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი საერთაშორისო თანამეგობრობის ურყევ და უპირობო მხარდაჭერას და მადლიერია რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერისთვის.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, პატივი სცეს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, შეასრულოს ევროკავშირის წინაშე 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, გაიყვანოს თავისი ძალები საქართველოს ტერიტორიიდან, შეწყვიტოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში დაბრუნების დაბრკოლება.

საგარეო საქმეთა სამინისტრო სამძიმარს უცხადებს და პატივს მიაგებს 2008 წლის ომში გმირულად დაღუპული მებრძოლებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ოჯახებსა და ახლობლებს“, - ნათქვამია განცხადებაში.

ქრონიკა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იწყებს ახალი პროგრამის განხორციელებას.

პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების გაწევას, ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ოჯახი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 120 001-დან 150 001-მდე და შემადგენლობაში ერთი წევრი მაინც არის 16 წლამდე ასაკის. პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური დახმარებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში მუდმივ საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრული აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორია და 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ასევე, მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის, უწყვეტად რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

* * *

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, მინისტრის მოადგილე ირმა აფხაზავა აგრარული დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში - კოკოტაურში, ვაიოსა და ხაბელაშვილებში იმყოფებოდა. მათ ადგილზე დაათვალიერეს ფერმერების მიერ მოყვანილი ბოსტნეულის, თხილის და ვენახის მოსავალი. სამინისტროს ცნობით, ფერმერებმა აგროსერვისცენტრის სასათბურე მეურნეობაში წარმოებული უვირუსო ჩითილებიდან მანუსასა და ტორბეის ჯიშის პომიდვრის ხარისხიანი მოსავალი მიიღეს, რომლის რეალიზაცია ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზრებზე ხდება. „მიმდინარე ეტაპზე აქტიურად ხორციელდება ექსტენციის მიწოდება მცენარეთა დაცვის მიმართულებით, სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე გავრცელებული მავნებლებისა და დაავადებებისგან ეფექტურად დაცვის მიზნით. დღეის მდგომარეობით, ფერმერთა ცოდნის ამაღლების მიზნით, უფასო ექსტენცია მიეწოდა 4000-მდე ფერმერს/აგრომეწარმეს“, - ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

აჭარას სამუშაო ვიზიტით პოლონეთის ქვემო სილეზიის დელეგაცია ეწვია ქვემო სილეზიის მარშლის პაველ განცაჟის მეთაურობით. დელეგაციას სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე და ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე შეხვდნენ. ზაზა შავაძემ დელეგაციის წარმომადგენლებს სამინისტროს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გააცნო. საუბრისას ყურადღება გაამახვილა რეგიონში აგრარულ და გარემოს დაცვის მიმართულებით, ასევე, დარგში არსებულ მიმდინარე და სამომავლო პროექტებზე. შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატით წარიმართა. მხარეებმა აჭარასა და ქვემო სილეზიას შორის სამომავლოდ ერთობლივი პროექტების განხორციელების მზაობა გამოთქვეს.

* * *

ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, განცხადებას ავრცელებს. ნებისმიერ პირს ქალაქში არსებული დარღვევების შესახებ შეუძლია კანცელარიას დუაკავშირდეს ნომერზე

0800 000 810. ოპერატორთან დაკავშირების შემდეგ ირჩევთ რიცხვ 3-ს. კანცელარიის ცხელი ხაზი მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 09:00-18:00 საათამდე. მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, დისტანციურად დააფიქსირონ შეტყობინება დარღვევის შესახებ, აგრეთვე მიიღონ სამსახურის კომპეტენციის ფარგლევში სასურველი ინფორმაცია. პარკირების საჯარიმო ოქმებსა და ევაკუაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად უნდა დარეკოთ ნომერზე 595 001 307. პარკირების ცხელი ხაზი მუშაობს (ორშაბათი-პარასკევი) 09:00-18:00 საათამდე. აკუსტიკური ხმაურის ნორმების გადაჭარბების შემთხვევაში, უნდა დარეკოთ ნომერზე 598 851 520. რეგლამენტის შესაბამისად, ოპერატიული ჯგუფი გამოცხადდება შეტყობინების ავტორის საცხოვრებელ მისამართზე. სპეციალური მოწყობილობით მოხდება საცხოვრებელ ფართში დახურული კარებისა და ფანჯრების მიღმა შემოწმება. აკუსტიკური ხმაურის ცხელი ხაზი მუშაობს 24-საათიან რეჟიმში.

* * *

ბათუმში საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის რეგიონული წარმომადგენლობის ოფისი გაიხსნა. ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ავრცელებს. ორგანიზაციის რეგიონული საქმიანობის მხარდასაჭერად, საოფისე ფართი უსასყიდლოდ, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, სასტუმრო „ჰილტონ ბათუმმა“ საკუთარ სივრცეში გამოჰყო. საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის რეგიონული ოფისის გახსნის საზეიმო ღონისძიებას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზურაბ თენიეშვილი და ბათუმის მერის მოადგილე ლელა სურმანიძე დაესწრნენ. დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ინფორმაცია ასოციაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის, მიღწეული შედეგების და აჭარის რეგიონული წარმომადგენლობის სამომავლო გეგმების შესახებ.

* * *

პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი გიორგი გახარია პარტიის წევრებთან ერთად, 3 აგვისტოს ბათუმში იმყოფებოდა და ზურაბ ბერიძისა და შალვა ინასარიძის ქუჩაზე მოსახლეობას შეხვდა. მან საქართველოში მიმდინარე პროცესებსა და საარჩევნო გეგმებზე ისაუბრა. შეხვედრას მოჰყვა ინციდენტიც. ერთ-ერთმა პირმა მანუჩარ რიჟვაძემ, გიორგი გახარიას მოღალატე უწოდა და იკითხა, თუ რატომ უღალატა მან საკუთარ პარტიასა და ქვეყანას. „ღალატი შეიძლება სამშობლოს, ქვეყნის, სახელმწიფოსა და ოჯახის. პარტიის და კაცის ღალატი მე არ გამიგია, მაშინ, როდესაც ეს პარტია და კაცი ქვეყნის წინააღმდეგ მიდიან“, - აღნიშნა გახარიამ რიჟვაძესთან საუბრისას. გიორგი გახარიამ ინციდენტის შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მსგავსი ქმედებით ადრე „ნაციონალური მოძრაობა“ იყო დაკავებული, ახლა იგივეს „ოცნება“ იმეორებს.

* * *

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლემ ტაეკვონდოში ბათუმის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, რომელიც საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და საქართველოს ტაეკვონდოს ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიება სამ დღეს მიმდინარეობდა და როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, მაღალ დონეზე ჩატარდა. ტურნირზე ხუთი ქვეყნის საკმაოდ ძლიერი სპორტსმენები ჩამოვიდნენ, სულ 400-მა სპორტსმენმა იასპარეზა. საქართველოს გარდა, შეჯიბრში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, უზბეკეთის, სომხეთისა და ყაზახეთის წარმომადგენლები. როგორც შეჯიბრის ორგანიზატორები აცხადებენ, ქართველმა სპორტსმენებმა დამაჯერებლად იასპარეზეს და საპრიზო ადგილებიც დაიკავეს. საქართველოს სახელით ტურნირში აჭარის ნაკრები მონაწილეობდა, მათ მონაგარშია ხუთი ოქროს, ექვსი ვერცხლისა და ცხრა ბრინჯაოს მედალი. პირველი ადგილი და ოქროს მედლები დაისაკუთრეს: ნიკა ღოღობერიძემ - (73კილოგრამი წონითი კატეგორია), ვერა კრასნიუკმა (44კგ), საბა ზოიძემ (49კგ), ზურა ხუნდაძემ (33კგ), ნატალი პლატონაძემ (33კგ). ტურნირი უკვე მეორედ ჩატარდა და ის ტრადიციული გახდება.

* * *

მიმდინარე წელს ქედის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ბიუჯეტი 750 000 ლარს შეადგენს. პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა 361 868 ლარის ღირებულების გარე განათების 731 ბოძის მოწყობა და 298 920 ლარის ღირებულების 1 166 კუბური მეტრი მზა ბეტონის შეძენა. გარდა ამისა, აღნიშნული პროგრამით ორი წისქვილის რეაბილიტაცია, არხების მშენებლობა და სასაფლაოს შემოღობვა გახდება შესაძლებელი. ამ ეტაპისთვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების 80 პროცენტზე მეტი უკვე შესრულებულია. ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სულიკო სურმანიძე, მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი რევაზ ვარშანიძე და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ლევან ვერძაძე მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ.

* * *

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აჭარის პოლიციამ ქობულეთში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დაიკავა. უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1974 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გ.ჯ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაიკავეს. „დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 4 აგვისტოს ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე 1964 წელს დაბადებულ ა.ბ.-ს ფიზიკური დაზიანებები მიაყენა. მიყენებული დაზიანების შედეგად ა.ბ. ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ბრალდებული ცხელ კვალზე დაიკავეს. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს“, - აღნიშნულია შსს-ს ინფორმაციაში.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

„კოალიციური მმართველობის ჩამოყალიბება გარდაუვალია“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საარჩევნო კამპანია ძალას იკრებს, შემოდგომამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი და პოლიტიკური სპექტრიც თანდათან უფრო მასშტაბურად წარმოაჩენს თავის პოლიტიკურ ამბიციებს. ძველი და ახალი ოპოზიციური პარტიები და გაერთიანებები, სახელისუფლებო შტოს წარმომადგენლები საკუთარ მოსალოდნელ წარმატებაზე საუბრობენ

რეალურად ვინ გაიმარჯვებს? რამდენად მოსალოდნელია კოალიციური მმართველობის მოსვლა ხელისუფლებაში? - ამას ამომრჩეველი და სწორად წარმართული საარჩევნო პროცესი განაპირობებს. სწორედ ამაზე გვესაუბრება „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ერთი-ერთი ლიდერი ***ლუკა ფუტკარაძე.***

- როგორ შეაფასებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს?

- ისინი ყოველდღიურად უფრო და უფრო საინტერესო ხდება. უკვე დაიწყო პოლიტიკური პარტიების საარჩევნო მარათონი, იზრდება ევროპის კრიტიკა მთავრობის მიმართ. სახელისუფლებო გუნდის განცხადებების შინაარსი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ოქტომბერში გარდაუვალი ხდება კოალიციური მმართველობის მოსვლა ხელისუფლებაში.

- ოპოზიცია რომ უკმაყოფილოა ხელისუფლების საქმიანობით, არახალია, თუმცა მმართველი პარტია აცხადებს, რომ ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარდება.

- ქვეყნის თანმიმდევრული განვითარება, ჩემი აზრით, დამოკიდებულია თანამედროვე გლობალიზაციის მასშტაბებსა და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მუდმივ დახმარებაზე. ამის მიუხედავად, ხელისუფლება აკრიტიკებს ჩვენს მრავალწლიან მეგობრებს, მაგრამ ევროპისა და ამერიკისთვის საქართველო არის და ყოველთვის იქნება მყარი სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი კავკასიაში.

- სხვათა შორის, მმართველი გუნდი აცხადებს, რომ ოპოზიციის ნაწილი ქვეყანაში დესტაბილიზაციას გეგმავს...

- ნიუსებს დესტაბილიზაციაზე, ომზე, არეულობაზე... საარჩევნოდ ხელისუფლება იყენებს მოსახლეობის დასაშინებლად. მიაჩნიათ, რომ საზოგადოებისთვის მშვიდობის გარანტი დღეს არის მთავრობა და მმართველი პარტია. „ქართული ოცნების“ საარჩევნო გეგმა სწორედ ამ სულისკვეთებითაა განმსჭვალული.

- პრაქტიკულად, საარჩევნო მარათონი არაოფიციალურად დაიწყო. რას ფიქრობთ ოპოზიციურ ფლანგზე მიმდინარე პროცესებზე, რატომ არ შეიქმნა ერთიანი ოპოზიციური პლატფორმა?

- ერთიანი ოპოზიციური პლატფორმის არშექმნის მიზეზი არის მრავალფეროვანი ოპოზიცია. ამომრჩეველს ეძლევა საშუალება, მრავალფეროვანი პროდასავლური ცენტრებიდან მისცეს ხმა მისთვის ყველაზე ახლო კოალიციურ ცენტრს. ამასთან, ყველა პარტიის ერთ ცენტრში გაერთიანება ხელისუფლებისთვის იქნებოდა გამზადებული პროპაგანდა: „გაერთიანება ნაცებთან“, „ისინი ხომ „ნაცების“ დანაყოფები არიან“, „აი, ხომ ხედავთ, ერთად არიან უკვე“... შესაბამისად, მოსახლეობას ეძლევა საშუალება, ოქტომბერში საინტერესო კოალიციური გაერთიანებებიდან ხმა თავის ღირებულებებთან ახლოს მყოფ პარტიას მისცეს.

- ამას წინათ „ედისონ რიჩერსმა“ მორიგი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ჯამში, ოპოზიცია იგებს არჩევნებს. რამდენად სანდოა მსგავსი გამოკითხვები?

- კვლევამ მიანიშნა, რომ ახალი ცენტრების შექმნა მოსახლეობისთვის მისაღები და საინტერესო აღმოჩნდა, რაც საზოგადოებას უკვე აჩვენებს კოალიციური მართვის საწყის ეტაპებს. რაც შეეხება კვლევის შედეგებს, მისაღები, მაგრამ მუდმივად ცვალებადია. ასე რომ, კვლევის შედეგი 26 ოქტომბერს გაცხადდება.

- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ზემოაღნიშნულ კვლევებს არ ენდობიან, რადგან მათი რეიტინგი 60 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

- მმართველი პარტია ცდილობს, ამომრჩევლები დააჯეროს მათ რეიტინგში, რომ დამაჯერებლად - 60 პროცენტით გაიმარჯვებენ ოქტომბერში, რაც მარტის აქციებისა და ევროპული კრიტიკის შემდეგ, ნაკლებად მოსალოდნელია. შეუძლებელია ასეთი პროცენტების ასე მყარად დაფიქსირება. ალბათ, მმართველი გუნდი გულისხმობს, რომ ამომრჩევლების 60 პროცენტი აძლევს ხმას მათ.

- უდავოა, რომ ყველა პარტია საარჩევნოდ გარკვეულ დაპირებებს იძლევა. თქვენი პლატფორმა რას სთავაზობს მოსახლეობას თუნდაც ეკონომიკური განვითარების და ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის კუთხით?

- რა თქმა უნდა, ჩვენს პლატფორმას აქვს ეფექტური და მოკლე პერიოდშივე განხორციელებული ეკონომიკური განვითარების გეგმა, ხოლო დეოკუპაციისთვის მიგვაჩნია, რომ ყველაზე ეფექტური გზა არის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული სისტემების შექმნის მცდელობა.

- თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა არჩევნებში საკუთარ გამარჯვებაზე საუბრობს. ძირითადად, რომელ პოლიტიკურ ცენტრებს შორის წარიმართება ბრძოლა?

- ხელისუფლებასა და ჩვენს პლატფორმას შორის, მაგრამ მგონია, რომ კონკურენციაში შემოვა „დროა“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“ და „ახალის“ ცენტრი, ასევე, „ძლიერი საქართველო“ და გახარიას „საქართველოსთვის“. ამ ფონზე საინტერესო არჩევნები გველოდება და ვფიქრობ, ბარიერს ოპოზიციური ცენტრებიდან სამი ან მეტი ცენტრი გადალახავს.

- როგორ ფიქრობთ, მომავალი არჩევნები ურთიერთდაპირისპირების ფონზე ჩაივლის თუ ცივილური საარჩევნო ატმოსფერო გველირსება?

- როგორც რიგით ამომრჩეველს, მაქვს ელექტრონული არჩევნების ხარისხის დიდი ნდობა, მაგრამ მგონია, წელს ყველაზე სტრესული, დაპირისპირებებითა და ფიზიკური ძალადობით გამორჩეული საარჩევნო პროცესები გველოდება, ხოლო შემდეგი არჩევნები ცივილურ გარემოში წარიმართება თუ არა, წლევანდელი არჩევნების შედეგზეა დამოკიდებული.

- ექსპერტ გია ხუხაშვილის აზრით, ოპოზიციას თუ სურს გამარჯვება, სოფელ-სოფელ უნდა იაროს და დაარწმუნოს მოსახლეობა საკუთარ უპირატესობაში...

- ჩვენ ყველა რეგიონში კარდაკარ, სოფელ-სოფელ დავდივართ და ვხვდებით მოსახლეობას. მსგავსად აქტიურობს სხვა ოპოზიციური პარტიებიც. ვფიქრობ, ამ მხრივ ოპოზიცია გამოცდილია.

- რამდენად მოსალოდნელია კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება და როგორ გესახებათ თუნდაც „ახალ“ პარტიასა და გახარიას გუნდთან ურთიერთთანამშრომლობა?

- კოალიციური მმართველობის ჩამოყალიბება გარდაუვალია და ეს ყველა პოლიტიკურმა სპექტრმა იცის, ხოლო თანამშრომლობა პარტია „ახალთან“ ჩემთვის მისაღებია. რაც შეეხება გახარიას პარტიას, ჯერ კიდევ გვაქვს კითხვები, პასუხების შემდეგ კი, რა თქმა უნდა, თანამშრომლობაც შესაძლებელია ყველა პროდასავლურ პარტიასთან.

- დაბოლოს, ჩვენი ქვეყანა და უკრაინა დამოკიდებულნი არიან დასავლეთის მხარდაჭერაზე. რა გავლენა ექნება უკრაინის ომს საქართველოს მომავალზე?

- ამ ომს პირდაპირი კავშირი აქვს საქართველოს რეალობასთან - უკრაინის გამარჯვება საქართველოს გამარჯვებას ნიშნავს, უკრაინის მარცხი საქართველოს მარცხია. ოკუპაციის პროცესის დასაძლევად საქართველოსთვის მნიშვნელოვანია უკრაინის გამარჯვება, ამისთვის კი აუცილებელია პარტნიორების მუდმივი დახმარება.

> ***„როგორც რიგით ამომრჩეველს, მაქვს ელექტრონული არჩევნების ხარისხის დიდი ნდობა, მაგრამ მგონია, წელს ყველაზე სტრესული, დაპირისპირებებითა და ფიზიკური ძალადობით გამორჩეული საარჩევნო პროცესები გველოდება, ხოლო შემდეგი არჩევნები ცივილურ გარემოში წარიმართება თუ არა, წლევანდელი არჩევნების შედეგზეა დამოკიდებული“***

გარანტორი – ევროინტეგრაციის გზაზე

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები ჩვენი ევროპული მომავლის გარანტორია, ამიტომ მას განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მომავლისთვის და ამას არაერთი ფაქტორი განსაზღვრავს. სწორედ ამის შესახებ გვესაუბრება საჯარო მმართველობის დოქტორი, ბსუ-ის ლექტორი ***ბიბა ფარტენაძე.***

- ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან თქვენთვის რა საკითხები იყო აქტუალური?

- ქართული პოლიტიკური დღის წესრიგი, ფაქტობრივად, საარჩევნო თემატიკით არის შევსებული. ამას აქვს თავისი ლოგიკური ახსნა - სამ თვეში ქვეყანა ატარებს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საპარლამენტო არჩევნებს. პოლიტიკის მიღმა კი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა პარიზის 2024 წლის ოლიმპიადაში, სადაც რამდენიმე ქართველმა ოლიმპიური მედალი მოიპოვა. მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს ბიჭებს და სრულიად საქართველოს მივულოცო ეს წარმატება.

- ქართულ ოპოზიციაში რამდენიმე ცენტრი ჩამოყალიბდა. რას ფიქრობთ ამ გადაჯგუფებებზე?

- ორპოლუსიანობის დასასრულებლად, ქართულ პოლიტიკურ არენაზე, რაც მეტი მოთამაშე გამოჩნდება, მით უკეთესი. ეს ხელს შეუწყობს თავად პოლიტიკური პროცესის გაჯანსაღებას. რაც მეტია ალტერნატივა, მით უფრო მეტად იქნება არჩევნებში მოქალაქეთა ჩართულობაც, რაც მაღალი ლეგიტიმურობის გარანტიაა.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ ჯობდა, ოპოზიცია ერთიანი ფრონტით გასულიყო არჩევნებზე...

- ვფიქრობ, ოპოზიციის ერთიანი სიით წარმოდგენა უფრო მეტად დააზიანებდა და დაბნევდა თავად ოპოზიციურ ელექტორატს, ვიდრე არსებული რამდენიმე მიზიდულობის ცენტრი. სწორედ ამიტომ, ხმების შენარჩუნებისა და ელექტორატის მობილიზებისთვის, ბევრად უკეთესი და ეფექტურია რამდენიმე ალტერნატივის არსებობა და ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლებისთვის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

- სხვათა შორის, მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ოპოზიციის ნაწილი სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ მოქმედებს. რას ფიქრობთ?

- ნებისმიერი პოლიტიკური პარტია თუ სხვა ფიზიკური პირი, რომელიც ოპოზიციურადაა განწყობილი ხელისუფლების მიმართ და მისი ქმედებები აზიანებს სახელმწიფო ინტერესებს, მოქმედებს არა მმართველი გუნდის, არამედ ქვეყნის, სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ, უნდა იქნას ლუსტრირებული და საზოგადოებისთვის ცნობილი. სახელმწიფო - ეს არის მუდმივი, მას თითოეული ჩვენგანი მაღალი პასუხისმგებელობით უნდა მოვეპყროთ. ხელისუფლებები დროებითია და მათდამი ოპოზიციური განწყობა ბუნებრივი პროცესია.

- პროპორციული სისტემა რა შანსს უტოვებს ოპოზიციას პარლამენტში მნიშვნელოვანი სეგმენტით მოსახვედრად?

- საარჩევნო სისტემებს თუ გადავხედავთ, პროპორციული სისტემა არის ერთადერთი საარჩევნო სისტემა, რომელსაც შეუძლია ამომრჩევლის განწყობების სრულად ასახვა საბოლოო შედეგებზე. ამ დროს ეგრეთ წოდებული დაკარგული ხმების რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი და წარმომადგენლობაც, შესაბამისად, პროპორციულია. ჩვენს შემთხვევაში პროპორციულ სისტემას ერთი ნაკლი გააჩნია და ეს არის 5-პროცენტიანი ბარიერი, რაც ძალიან მაღალია. საშუალოდ 70-80 ათასამდე ამომრჩევლის მხარდაჭერაა საჭირო იმისთვის, რომ ნებისმიერმა პოლიტიკურმა პარტიამ 5-პროცენტიანი ბარიერი გადალახოს, რაც „პატარა პარტიებს“ უხერგავს პარლამენტში მოსვლის გზებს. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოსახვედრად პროპორციული სისტემის შედეგად, მაღალი ალბათობით და დღეის მოცემულობით, 5-პროცენტიან ბარიერს 4 ან მაქსიმუმ 5 პარტია (გართიანება) გადალახავს. სავარაუდოდ, პარლამენტი მათით დაკომპლექტდება.

> ***„ნებისმიერი პოლიტიკური პარტია თუ სხვა ფიზიკური პირი, რომელიც ოპოზიციურადაა განწყობილი ხელისუფლების მიმართ და მისი ქმედებები აზიანებს სახელმწიფო ინტერესებს, მოქმედებს არა მმართველი გუნდის, არამედ ქვეყნის, სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ, უნდა იქნას ლუსტრირებული და საზოგადოებისთვის ცნობილი“***

- მოსახლეობის დაახლოებით 50-მა პროცენტმა წინა არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო. მომავალ არჩევნებში ამ ამომრჩევლების ხმა რომელი ძალისკენ წავა?

- ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა პროცესებმა (ვგულისხმობ „გამჭვირვალობის კანონის“ მიღებას, ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის შეფერხებას, აშშ-სთან ურთიერთობების „გადახედვას“ და სხვა) 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს სხვა მისია დააკისრა, რითაც ის არც 2020 წლის და არც იმის წინა საპარლამენტო არჩევნებს არ ჰგავს. სწორედ ამიტომ, მიმაჩნია, რომ არჩევნებზე მისული ამომრჩევლების რაოდენობა საგრძნობლად დიდი იქნება წინა წლების სტატის-

იხ. მე-4 გვ.

შოვის ტრაგედიას გადარჩენილი მარიამ ბერიანიძისა და მისი ოჯახის ისტორია

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

შოვის ტრაგედიიდან ერთი წელი გავიდა. 2023 წლის 3 აგვისტოს შოვში ღვარცოფი მოვარდა, რომელმაც 33 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ღვარცოფმა წაიღო კოტეჯები, სადაც ადამიანები იმყოფებოდნენ, მანქანები, მდინარეზე გადასასვლელი ხიდები, მოგლიჯა ხეები. ტრაგედიას სასწაულებრივად გადაურჩა მარიამ ბერიანიძე და მისი ოჯახი, რომლებიც შოვში დასასვენებლად იმყოფებოდნენ

- 2023 წლის 1 აგვისტოს მე, ჩემი მეუღლე და 4 წლის შვილი შოვში დასასვენებლად ჩავედით. კოტეჯი ტყის პირას, „სანსეტ შოვთან“ ახლოს ვიქირავეთ. 3 აგვისტოს დილა თითქოს არაფრით იყო გამორჩეული. სასეირნოდ ტყეში წავედით, მოვიარეთ სხვადასხვა ადგილი. სახლში დაბრუნების შემდეგ, გადავწყვიტეთ, კვლავ გარეთ გავსულიყავით და ოჯახური პიკნიკი მოგვეწყო. ტყეში რომ მივედით, კოცონის დანთებამდე, ბავშვთან თამაში გადავწყვიტეთ. სწორედ ამ დროს გავიგეთ საოცარი გრუხუნის ხმა. ვიფიქრეთ, ვერტმფრენი ჩამოვარდა და გავიქეცით. უკან რომ მოვიხედეთ, უზარმაზარი ღვარცოფი მოდიოდა, მთელი ძალით გავიქეცით. დავინახეთ, რომ ჩვენი მეზობლებიც გამორბოდნენ სახლიდან. წინ უზარმაზარი მწვანე ღობე იყო, საკმაოდ მაღალი, რომელზეც ძვლივს გადავხტით. შემდეგ დავეშვით კალცისწყაროს ხიდთან და სწორედ იქ დავინახეთ, რომ ღვარცოფს უამრავი კოტეჯი მოჰქონდა, მათ შორის, მამისონის კოტეჯებიც. მაშინ გავაანალიზეთ, რომ უკვე არც წინ წასასვლელი და აღარც უკან დასაბრუნებელი გზა აღარ იყო. ხიდზე ავედით, მაგრამ უკვე ისიც წყდებოდა. მეწყერს მანქანები მოჰქონდა, საიდანაც ადამიანების განწირული კივილის ხმა გვესმოდა. ჩვენი მეზობლები, რომლებიც ხეზე ავიდნენ, საფრთხეს ვერ გაექცნენ - მეწყერმა ხე მოტეხა და ეს ადამიანები ჩვენ თვალწინ წაიღო. როგორღაც მოვახერხეთ ხიდიდან გადმოსვლა და ამ დროს დაახლოებით 3-4-მეტრიანმა ტალღამ დაგვარტყა და დაახლოებით 10-15 მეტრი გვათრია. არ მახსოვს, როგორ ამოვედით მეწყრიდან, ღვარცოფისგან შექმნილ პატარა კუნძულზე აძვრომა ძლივს მოვასწარით, რომ მეწყრის შემდეგი ტალღა აღარ მოგვხვედროდა, შემდეგ კი ნაცნობი ვარდისფერი კოტეჯისკენ წავედით, ფიქრის დრო არ გვქონდა, სწორი მიმართულებაც არ ვიცოდით. კოტეჯში ბაბუა დაგვხვდა, რომელმაც გვითხრა, რომ მეწყერმა მეუღლე მოსტაცა. მაშინ მივხვდით, რომ კვლავ საშიშროების ზონაში ვიყავით და გადავწყვიტეთ, ამ სახლს მოვშორებოდით, თუმცა ტალახი ისეთი სქელი იყო, რომ ვეფლობოდით და ხოხვა გვიწევდა. ამ დროის განმავლობაში მეუღლეს ჰყავდა ბავშვი ზურგზე შემოსმული და ჩემს ტალახიდან ამოთრევას ცდილობდა. საბოლოოდ, ერთ ადგილზე გავიჭედეთ და წასასვლელს ვერსად ვპოულობდით. დაახლოებით 4 საათი ვიყავით ტალახში ჩაფლულები.

- ვინ გადაგარჩინათ?

- რაჭველი ბიჭები დავინახეთ, რომლებმაც ტყით გადმოიარეს რამდენიმე სოფელი



და შოვში ამოვიდნენ. ამ ბიჭებმა მეწყრისგან დანგრეულ სახლს გამოაცალეს ფიცრები, გზა გააკეთეს და ჩვენამდე მოვიდნენ. საკუთარი სიცოცხლე სასწორზე დადეს სრულიად უცხო ადამიანებისთვის. მათ გადმოგვიყვანეს ისეთ ადგილზე, სადაც ფეხის დადგმა შეგვეძლო - მყარ მიწაზე. შემდეგ ვერტმფრენიც დაჯდა და დაიწყეს ჩვენი ვერტმფრენში გადანაწილება. ყველას ყოველთვის მადლობას ვუხდი, საკუთარ ფიქრებშიც და პირადადაც. არავის ამაგი არასდროს დამავიწყდება. როდესაც ის რაჭველი ახალგაზრდები დავინახეთ, იმედის ნაპერწკალმა გაგვიელვა, გაგვიხარდა, რომ მოგვაგნეს, მაგრამ თუ ღვარცოფში ჩვენს გადასარჩენად შემოვიდოდნენ, ამას ვერ წარმოვიდგენდით.

- როდის გაანალიზეთ, რომ გადარჩით და ეს ჯოჯოხეთი თქვენთვის დასრულდა?

- როდესაც გადაგვაფრინეს გლოლში და იქ დაგვხვდა სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი. იქიდან გამომდინარე, რომ პირველ რიგში ქალები და ბავშვები გაგვანაწილეს, ჩემი მეუღლე ჩვენთან ერთად ვერტმფრენში არ აღმოჩნდა. დიდი ხანი ველოდებოდი დაძაბული და ანერვიულებული სასწრაფოს მანქანაში. როდესაც ჩემი მეუღლე თვითმფრინავიდან ჩამოვიდა და მანქანაში სამივე ჩავსხედით, მაშინ ბოლო ხმაზე დავიწყე ტირილი, მივხვდი, რომ გადავრჩით, ის ჯოჯოხეთი დასრულდა.

- მაშინ, როდესაც გადარჩენისთვის იბრძოდით, საკუთარი თვალით ხედავდით, როგორ გაიტაცა მეწყერმა სხვა ადამიანები...

- როდესაც ვხედავდით, რომ ჩვენ თვალწინ ადამიანები მეწყერს მიჰყავდა, დანაშაულის გრძნობა გვქონდა, რომ ვერაფრით ვეხმარებოდით, თუმცა ტალახის ის მასა ჩვენც გვებრძოდა... ვერაფერს ვიღონებდით...

- როგორ მოქმედებდნენ მაშველები და რამდენად დროულად იყო ჩატარებული გადარჩენის ღონისძიებები?

- მაშველები ნამდვილად თავდაუზოგავად მუშაობდნენ. ადგილობრივი და ჩამოსული მოხალისეებიც იყვნენ მათთან ერთად და ჩვენი სიცოცხლის გადარჩენისთვის იბრძოდნენ. თუ როგორ იყვნენ ისინი სამძებრო სამუშაოებში ჩართულები და რა სტრესის ფონზე უწევდათ მუშაობა, ამას მთელი საქართველო ხედავდა.

- ერთი წელი გავიდა. როგორია დღეს შოვი თქვენთვის?

- შოვი ყოველთვის ტკბილ და ბედნიერ მოგონებებს უკავშირდებოდა. თვალები მიბრწყინდებოდა, როდესაც შოვის სახელს გავიგებდი ან იქ ჩავდიოდი. დღეს ყველაფერი შეიცვალა. დღეს შოვი ძალიან მძიმე მოგონებებს უკავშირდება. ჯერჯერობით ვერ შევძლებ იქ წასვლას, რაც შარშან მოხდა, შეიძლება კიდევ განმეორდეს. მგონია, რაღაც მასა კიდევაა იქ დარჩენილი და გარემოს ზემოქმედებისგან შეიძლება ისევ ჩამოიშალოს. ამ სტრესის ფონზე, ალბათ, მე იქ ვეღარასდროს წავალ.

- გაქვთ კონტაქტი ტრაგედიას გადარჩენილებთან?

- რასაკვირველია, ოღონდ ვცდილობთ, ხშირად არ გავიხსენოთ, რადგან ყველას გვსურს მშვიდად მოვახერხოთ დაძინება და გაღვიძება. ერთმანეთს გვერდით ვუდგავართ, ვამხნევებთ. ამ ტრაგედიის შემდეგ ყველანი ერთად შევიკრიბეთ, არ ვკარგავთ ერთმანეთს და ალბათ, ასეც გავაგრძელებთ.

- ის, რისი თქმაც საზოგადოებისთვის გსურთ...

- მთელი გულით ვწუხვარ თითოეული გარდაცვლილი ადამიანის გამო, ვუთანაგრძნობ გარდაცვლილთა ოჯახებს. როცა სტიქიის ზონიდან მოვახერხეთ გამოსვლა, დიდი იმედი მქონდა, რომ იმათაც იპოვიდნენ, ვინც ჩვენს თვალწინ წაიღო მეწყერმა. მეგონა, რომ ისინიც სადღაც, როგორღაც გადარჩებოდნენ, თუმცა, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

გარანტორი – ევროინტეგრაციის გზაზე

მე-3 გვერდიდან

ტიკასთან შედარებით, ხოლო ეს ხმები რომელი ძალისკენ გადაიხრება, ვფიქრობ, ამას ჩვენი ქვეყნის საგარეო ვექტორი განსაზღვრავს.

- მომავალ საპარლამენტო არჩევნებს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ქვეყნის საგარეო ვექტორის თაობაზე რეფერენდუმი უწოდა. თქვენი აზრი ამის შესახებ...

- ცალსახად, ეს იქნება ჩვენი ქვეყნის ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის სურვილის კიდევ ერთი ფართო და მასშტაბური აღიარება, რომელიც არჩევნების საბოლოო შედეგებით გაფორმდება.

- ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხრიდან საარჩევნო მესიჯები (ხელისუფლების - „ომი თუ მშვიდობა“, ოპოზიციის - „რუსეთი თუ დასავლეთი“) გამოვლინდა...

- ომით და მშვიდობით მანიპულირება, ვფიქრობ, იმ ელექტორატის შესანარჩუნებლადაა, ვინც დარჩა „ქართულ ოცნებას“, ხოლო „რუსეთი თუ დასავლეთი“ - სამწუხაროდ, ამ საფრთხის წინაშე დღეს ჩვენი ქვეყანა უკვე დგას და ყველამ ერთად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლის შესანარჩუნებლად.

- ექსპერტთა თქმით, მომავალი არჩევნები ურთიერთდაპირისპირების ფონზე ჩაივლის. ეს სურათი რა დაღს დაასვამს საარჩევნო გარემოს?

- არჩევნებზე დაპირისპირების ხარისხი იზრდება მაშინ, როდესაც არსებობს რამდენიმე მსუყე, პოლიტიკური მიზიდულობის მქონე ძალა. სამწუხაროდ, ექსპერტთა მოსაზრებები და მოლოდინები გამართლდება, რადგან 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს ეყოლება მსხვილი და მსუყე ალტერნატივების მქონე პოლიტიკური პარტიები, ეს კი დაძაბულობის ხარისხს გაზრდის. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მაშინ, როდესაც ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნები ტარდებოდა, ურთიერთდაპირისპირების, ძალადობის, დაშინებისა და დაძაბულობის ფონზე გვიწევდა არჩევნების ჩატარება, წლევანდელ არჩევნებში დაპირისპირების ხარისხს თავისი ისტორიული მნიშვნელობა განაპირობებს.

- ცხადია, არჩევნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია კონცეფციები, პროგრამები. ამაზე რისი თქმა შეიძლება?

- მშვიდ და სტაბილურ გარემოში ამომრჩეველი ხმას აძლევს აღნიშნულ კონცეფციებზე დაყრდნობით, მაგრამ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები თავისი არსით არაორდინარულია და ამომრჩეველი ხმას არა კონცეფციების, არამედ, ქვეყნის საგარეო კურსის შესაბამისად გააკეთებს.

- რამდენად მოსალოდნელია კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება?

- მოსალოდნელია, მაგრამ ამისთვის ოპოზიციურ ველს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო და მეტი სიცხადე შემოსატანი ამომრჩევლისთვის. რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება“ ამომრჩევლების მხარდაჭერით იქნება ლიდერი პარტია, მაგრამ რამდენად ეყოფა მმართველ ძალას მთავრობის დაკომპლექტებისთვის საჭირო რაოდენობის მხარდაჭერის მობილიზება, ეს კიდევ განხილვის საგანია. ევროპული პერსპექტივის საფრთხის გაჩენის შემდეგ, მმართველი პარტია ქართველი ელექტორატისთვის რეპუტაციულად დაზიანდა.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ. როგორი იქნება საერთაშორისო დღის წესრიგი, თუ რუსეთ-უკრაინის ომი გაიყინა, კრემლს შერჩა ოკუპირებული ტერიტორიები?

- ეს იქნება ძალიან სამწუხარო ფაქტი, რადგან თუ კრემლს შერჩება ის სტატუს-კვო, რაც დღეს ფრონტის შედეგად გააჩნია, ეს დააზარალებს არა მხოლოდ უკრაინას, არამედ მთელ კოლექტიურ დასავლეთს, რაც დასავლეთის მიმართ გააჩენს უფრო მეტ სკეპტიციზმს. ეს რუსეთის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

- დაბოლოს, 2024 წლის არჩევნები რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის თვალსაზრისით?

- 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები არის ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლის მთავარი განმსაზღვრელი და გარანტორი ევროინტეგრაციის გზაზე.

„ომიდან“ – ომში... ნანა აკობიძის გზასავალი

ნანა აბულაძე 577 20 35 90

რა კარგი იქნებოდა, წერა არ შემძლებოდა, მაშინ უფრო ნაკლები ტკივილებით ვივლიდი დედამიწაზე, - აღნიშნა გაზეთ „აჭარასთან“ საუბარში პოეტმა, ჟურნალისტმა, გამომცემელმა და მედიამკვლევარმა ნანა აკობიძემ. ის თვლის, რომ ტექსტებს, რომლებიც იწერება და მიდის მკითხველამდე, ერთადერთი დანიშნულება უნდა ჰქონდეს - დააფიქროს ადამიანი, გაუჩინოს ემოცია, რომელიც სინათლისკენ წარუძღვება და გაათავისუფლებს ყოფითი სიმუქეებისგან

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნანა აკობიძის შემოქმედება სწორედ ასეთია, მრავალგვარ ემოციას ამოგიტივტივებს ქვეცნობიერიდან, შემდეგ კი გაძლევს საშუალებას, იქ ნაპოვნი, შენთვის მისაღები პასუხებით უფრო მშვიდად განაგრძო გზა. 90-იანი წლების შემდეგ, ამ რამდენიმე თვის წინ, პირველად გამოსცა სრული პოეტური კრებული „ვალაუვალი“. ამბობს, რომ მწერლობაში მისი ეს დაბრუნება ერთგვარი ვალის დაბრუნებაა იმ მკითხველისთვის, ვისთან კავშირიც დიდხნიანი შემოქმედებითი პაუზის მიუხედავად, არასოდეს გაუწყვეტია. ყოველთვის იცოდა, რომ სწორედ მაშინ დაუბრუნდებოდა მწერლობას, როცა გულწრფელად მოისურვებდა და იგრძნობდა, რომ სათქმელი დაუგროვდა. არაერთი რთული წელი გამოიარა, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით. იყო ომში, ბრძოლაში, სადაც არ იცი, გადარჩები თუ ვერა, თუმცა ყოველთვის სჯეროდა, თუ გადარჩები, მიხვდები, რომ ყველაფრის მიუხედავად, ცხოვრება გაგრძელდება და შენ გამოსავალთან ერთად, აუცილებლად იპოვი თავშესაფარსაც.

- მოგვიყევით, როდის და როგორ შემოვიდა თქვენს ცხოვრებაში პოეზია?

- 90-იანი წლების პოეტი ვარ, ანუ - დამოუკიდებელი, ახალი საქართველოს პოეტი და მიმაჩნია, რომ ეს ერთდროულად პრივილეგიაცაა და ტვირთიც. პრივილეგია იმიტომ, რომ მოვესწარი ახალი საქართველოს დაბადებას, ტვირთი კი ის არის, როცა გიწევს რაღაცის სათავესთან დგომა და გააზრება, რომ ყველა პატარა კენჭი რაღაცაში სწორად უნდა ჩადო, ააშენო. ცხადად მახსოვს ის დღე და სურათი, როცა პოეზია სულ სხვა ფერით და სურნელით შემოვიდა ჩემში. 90-იანი წლების უშუქო, ბნელი ღამე იყო, ღუმელთან ვიჯექი, მერვე კლასში ვიყავი, შემთხვევით გადავშალე ბესიკ ხარანაულის წიგნი და მივხვდი, რომ ჩემთვის რაღაც აბსოლუტურად ახალს შევეხე, სრულიად უცხო სამყაროში აღმოვჩნდი. შევეხე მამალს, რომელიც წითელი ფარდაგიდან გადმოდის... ბესიკ ხარანაულის მეტაფორები, პასტორალური ყოფის სურათხატები ისე სხვანაირად შემოვიდა ჩემში, პირველად მაშინ დამემართა დიდ პოეზიასთან შეხების კულტურული შოკი. მივხვდი, რომ ჩემი სულისთვის, ფიქრისთვის რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს მივაგენი. ბავშვობიდან ვწერდი, მცდელობები მქონდა. სტუდენტს კიდევ ერთი და ახალი შოკი მელოდა. ომში გახვეულ ქვეყანაში, როცა პოეზია, ლიტერატურა თითქმის აღარავის ახსოვდა, ასეთ დროს უცებ ვხვდები ახალგაზრდებს, რომლებიც ახალი სათქმელით შემოვიდნენ პოეზიაში. „ქრონოფაგები“ - ასე ერქვა მაშინდელი თაობის პოეტურ გაერთიანებას, რომელთა პოეზიის საღამოს პირველად უნივერსიტეტში დავესწარი და მიღებული შთაბეჭდილებისგან აკანკალებული დავბრუნდი სახლში. მეგონა, თავში ქარიშხალი დატრიალდა და ათასი ფიქრი ერთმანეთში აურია. მათმა საოცარმა ტექსტებმა, რომლებიც იყო ახალი და არ ჰგავდა ადრე წაკითხულ პოეზიას, ძალიან იმოქმედა ჩემზე, ამიტომ სულ ვფიქრობ, რომ დავალებული ვარ მათგან. თავისთავად, 90-იანების გარემო ისეთი იყო, რომ რაღაც თავშესაფარი უნდა გეძებნა ახალგაზრდა, 18 წლის ადამიანს, რომელსაც გაქვს გამძაფრებული აღქმა და წერ ლექსებს. მე და ჩემმა ორმა მეგობარმა პოეტმა - ალეკო ცქიტიშვილმა და რეზო გეთიაშვილმა შევქმენით „ბებერი პოეტების ორდენი“, ასე ერქვა გაერთიანებას. დღეს რომ ვფიქრობ, ეს იყო ჩვენი პატარა თავშესაფარი, რომ არ გავეჭყლიტეთ მაშინ ცხოვრებას და რაღაცნაირად გადაგვერჩინა თავი, ერთმანეთი, გადაგვერჩინა ჩვენში სათქმელი, ის, რაც გვაწუხებდა. ხშირად ვამბობ, რა კარგი იქნებოდა, რომ არ შემძლებოდა წერა, უფრო შევირგებდი ცხოვრებას. სიღრმეებში ქექვის თუ წვდომის გამუდმებული სურვილი ხშირად მიკარგავს სიამოვნების განცდას, რაც მარტივად შეიძლება მიიღო აწმყოში. აღნიშნული გაერთიანება პრივილეგია იყო ჩემთვის, გამართლება, რომ მოვხვდი საჭირო ადგილას, საჭირო ადამიანების გვერდით. შემდეგ ჩვენ წავედით აფხაზეთში - ომის ჟურნალისტები გავხდით. ჟურნალისტიკა ბედისწერად ექცა ჩვენს შემოქმედებას, რადგან ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის ზღვარზე სიარული გვიწევდა. შემდეგ, დროებით, დისტანცირებული გავხდი ლიტერატურასთან.

- თუ არსებობს გამორჩეული კადრი, რომელიც აფხაზეთის ომიდან შემორჩა თქვენს მეხსიერებას?

- ომი სულ გახსოვს, რამდენი წელიც უნდა გავიდეს, არასდროს მიდის შენი მეხსიერებიდან, მაგრამ არის რამდენიმე კადრი, რომელიც არასდროს დამავიწყდება. 9 მაისს მოგვიხდა იქ ყოფნა. წარმოიდგინეთ სოხუმის დაცარიელებული ქუჩები და ქუჩის მეორე მხარეს მოხუცი, რომელიც მარტო მოუყვება სანაპიროს და გულზე სამამულო ომის მედლები უკიდია. ეს იყო ყველაზე სიურრეალისტური კადრი, რაც კი მინახავს - ბომბების ხმის ფონზე, ადამიანი ძველი ომიდან ახალ ომში მოაბიჯებს და მოაქვს თავისი დღესასწაული. ასეთი სევდიანი დღესასწაული მეორე არ მახსოვს. ისევ ომი იყო - ომში... აფხაზეთის ომიდან სხვა კადრებიც მახსოვს, მათ შორის რომანტიკულიც, რომელიც გვახსენებდა, რომ ცხოვრება სადღაც გრძელდება და სანამ ცოცხალი ხარ, არ უნდა შეწყვიტო ბრძოლა.

- სანამ კრებულს „ვალაუვალი“ გამოსცემდით, იყო დიდი პაუზა. ამ დროის განმავლობაში თქვენში გაჩენილ სიცარიელეს რა ავსებდა?

- ვდისტანცირდი ლიტერატურული სამყაროსგან, თუმცა პროცესიდან არასოდეს წავსულვარ, სულ ვიყავი მონაწილე. იყო ძალიან დიდი დოზით რუტინა, ყოველდღიური საფიქრალი, 4 შვილის აღზრდა, თუმცა ყოველთვის მახსოვდა, რომ მაქვს ერთი სუპერძალა, რომელიც, როცა დამჭირდება, როცა მოვინდომებ, ჩემ გვერდით გაჩნდება. ვფიქრობდი, რომ შესაძლოა, ამ ძალის გამოძახებას იმედგაცრუებაც მოჰყოლოდა, ისეთი დოზით ვერ დამხმარებოდა, როგორც წარმომედგინა, მაგრამ ყოველთვის მჯეროდა, რომ ეს ძალა მაქვს და სწორედ ის არის ჩემი ჯილდოც და სასჯელიც. ჯილდოა, როცა შეგიძლია ნებისმიერი ემოცია აქციო ტექსტად. სასჯელია, როცა ყველაფერს ცხოვრებაში ძალიან სიღრმისეულად აღიქვამ და ვერ ტკბები ყოველდღიურობით.

- თქვენი შემოქმედების ექო... გზავნილი - თაობებისთვის.

- ჰიპოთეტურად, უკანასკნელი დღე რომ დგებოდეს და მითხრან, რამდენიმე გზავნილი გაუშვი შემდეგი ცივილიზაციისთვის, შემდეგი თაობისთვისო, პირველი, აუცილებლად ვიტყოდი, რომ ყველამ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა, რომლებიც ეძებენ ახალ უნარებს საკუთარ თავში, უნდა იპოვონ თავისი სუპერძალა და შემდეგ ის გადააქციონ ცხოვრებასთან საბრძოლველ იარაღად. ადამიანებმა არასოდეს უნდა თქვან საკუთარ ოცნებებზე უარი, სწორედ ამის თქმა მინდა ჩემი ტექსტებითაც, რადგან ოცნება მაინც რჩება ადამიანის მთავარ იდეალად, რომლისკენაც მივდივართ, მივისწრაფვით. თუ გვეგონება, რომ ეს იდეალი არ არსებობს, ძალიან უინტერესო გახდება სიარული ამ გზაზე, ამიტომ ადამიანებმა თავიანთი წარმოსახვითი თუ რეალური ფიქრებითა და ოცნებებით არ უნდა შეწყვიტონ იდეალისკენ სწრაფვა. დანარჩენი უკვე თავშივე აღვნიშნე: მინდა, მეტი ვიფიქროთ.



- თქვენთვის რა არის თავისუფლება?

- ჩემი აზრით, დღევანდელი მოცემულობით, თავისუფლება არის გააზრება იმისა, რომ ერთი ადამიანი ძალიან დიდი ძალაა. ძალა არა ერთობაში, არამედ ინდივიდებშია და ეს ინდივიდები ქმნიან ერთობას. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მე არ მომწონს გამოთქმა „ძალა ერთობაშია“. ჩემს წარმოსახვაში ეს არის უკვე ბრუტალური, უმართავი ძალა. ინდივიდების ძალა, რომელიც გააზრებულ ძალას ქმნის, არის ის ძალა, რომელსაც მოაქვს და ქმნის თავისუფლებას. თავისუფლება ისევ და ისევ, გააზრებაა იმისა, რომ ადამიანმა იცოდეს, რა შესაძლებლობები აქვს, რა უფლებები და ძალა. მიმაჩნია, რომ სწორედ ამის ცოდნაა თავისუფლება. თავისუფალ ერად შედგება ქვეყანა, როცა თითოეული ადამიანი ქვეყანაში საკუთარ უფლებებს, მოვალეობებს, საკუთარ ძალას გაისიგრძეგანებს. დარწმუნებული ვარ, მოვესწრები საზოგადოებას, როცა თითოეულ ადამიანს ჩვენს ქვეყანაში ეცოდინება, რომ ის ერთი კონკრეტული ადამიანი არის ცვლილებების მომტანი, შემოქმედი და შემძლე იმის გააზრებით, რომ ის არის სრულფასოვანი მოქალაქე.

- როგორ ფიქრობთ, დღეს ლიტერატურერა თუ ამბობს სათქმელს?

- ეპოქები იცვლება, ადამიანები იცვლებიან, მოცემულობა, მოთხოვნილებები იცვლება, შესაბამისად, დაკვეთაც იცვლება, თუ როგორი უნდა იყოს პოეზია, ლიტერატურა. იმის მიუხედავად, ჩვენ მოგვეწონება თუ არა, რას ამბობს ლიტერატურა, მე მაინც მგონია, რომ მას წინასწარმეტყველური ძალაც აქვს, ყველაზე მეტად შეუძლია რეალობის ჩვენება. ლიტერატურას შეუძლია გვაფიქროს და როცა ვფიქრობთ, გამოსავალიც იძებნება მაშინ.

- როგორია თქვენი წილი ბათუმი, რას ნიშნავს ეს ქალაქი თქვენთვის?

- ლექსიდან, რომელიც ბათუმს მივუძღვენი, რამდენიმე ტაეპს წაგიკითხავთ:

არიან ქალაქები, ქალივით ქალაქები,
ჰოს და არას შორის მზეს რომ გააჩნია,
დღეს რომ გააჩნია, სულზე რომ გაჩნდება
ისეთი ქალაქები,
ისეთი ამინდებით, ისეთი არმინდებით, მინდაზე მეტით და
დღეს ზღვა აღელდება.
არც ისე შორია ჩემგან ეს ქალაქი,
ქალივით ქალაქი დღეს უფრო ჰო არის და
გვერდით ქუჩაზე,
გვერდით სასტუმროში ვარდით და გვირილით მეჯლისზე მიდიან, ყველა, ვინც მიყვარდა, ყველა, ვინც შემომხვდა ოდესღაც ქალაქში, რომელიც მიყვარდა.

აი, ეს არის ჩემთვის ბათუმი, ყველა, ვინც მიყვარდა, ყველა ვინც შემომხვდა. ძალიან მიყვარს ზოგადად აჭარა, აქ მცხოვრები უთბილესი და უსაყვარლესი ადამიანები.

9 მაისს მოგვიხდა იქ ყოფნა. წარმოიდგინეთ სოხუმის დაცარიელებული ქუჩები და ქუჩის მეორე მხარეს მოხუცი, რომელიც მარტო მოუყვება სანაპიროს და გულზე სამამულო ომის მედლები უკიდია. ეს იყო ყველაზე სიურრეალისტური კადრი, რაც კი მინახავს - ბომბების ხმის ფონზე, ადამიანი ძველი ომიდან ახალ ომში მოაბიჯებს და მოაქვს თავისი დღესასწაული. ასეთი სევდიანი დღესასწაული მეორე არ მახსოვს. ისევ ომი იყო - ომში...

„შუამთობა-2024“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მთა ღომა

აჭარა-შავშეთის ქედის ერთ განშტოებაზეა ღომას, საყენდრიასა და ლაშეს ალპური საძოვრები. აქ ზაფხულს შუახეველი და ქედელი მეცხოველეები ატარებენ. 21-ე საუკუნის დასაწყისში მთა ღომამ ტურისტული მიმართულებითაც მეტი დატვირთვა შეიძინა. ტერიტორიაზე ახალი კოტეჯების მშენებლობის ბუმია. შარშან წინაველაზე, ზღვის დონიდან 2200 მეტრ სიმაღლეზე, ტურისტული ლოკაციაც მოეწყო. აჭარის მთიანეთში მთა ღომა ერთადერთია, სადაც საღვთო დღესასწაული „ჯვარობა“ იმართება. წაბლანა-ღომას საავტომობილო გზის გაყოლებაზე რამდენიმე პიროვნების უკვდავსაყოფად ხსოვნის წყაროებია გაკეთებული. ღომა ყველაზე ახლო მთაა შუახევის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან.

ტრადიციული სახალხო დღესასწაული, მრავალი მთის მსგავსად, აქაც მაღალ დონეზე იმართება, მით უმეტეს, რომ ამ ზეიმს წინ უსწრებს ღირსეული პიროვნების, მოფრინეთელი ვასილ ბერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეკრება „ვასილობა“. ეს წამოწყება მის შვილს, ცნობილ ბიზნესმენ ჯემალ ბერიძეს ეკუთვნის. მან მერისი-ღომას გზის გაყოლებაზე, 2008 წლის აგვისტოს ომის გმირის, მერისელი ფრიდონ თურმანიძის უკვდავსაყოფად გაკეთებული წყაროს სიახლოვეს, ვასილ ბერიძის წყაროც გააკეთა და წლევანდელი „ვასილობა“, ტრადიციულად, აქ გამართა.

ღომაზე „შუამთობას“ კიდევ ერთი ღონისძიება ახლდა - მთა საყენდრიას, სადაც მხოლოდ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანის მემთეურები არიან, დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა, ამიტომაც მთა ღომაზე გამართული „შუამთობის“ მონაწილენი ზეიმის დაწყებამდე საყენდრიაზე მივიდნენ და მემთეურებს მოახლოებული იუბილე მიულოცეს.

წლევანდელ „შუამთობას“ რიგი სიახლეებით შეხვდა მთა ღომა. ივლისის ბოლოს დასრულდა წაბლანიდან ღომამდე ადრე გაყვანილი მაღალი ძაბვის ხის ბოძების ლითონის ბოძებით ჩანაცვლება. გაკეთდა სტადიონი, მოწესრიგდა წაბლანა-ღომას საავტომობილო გზა. „შუამთობის“ ზეიმის ორგანიზატორმა, შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილემ, მწერალმა ვახტანგ გოგრაჭაძემ მთის ხასხასა მდელოზე სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე პირველად შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „ნაის“ წევრები მიიწვია. მაყურებლის წინაშე პირველად წარსდგა ახალგაზრდული ანსამბლი „რაი“ ლუკა ზოიძის, დიეგო, დიანა, გიგა გოგიტიძეების, დიანა დიასამიძისა და მარი პაქსაძის შემადგენლობით.

„ხარატულის“ წევრმა ანასტასია ჭინჭარაულმა ანსამბლის რეპერტუარიდან ორი სიმღერა შეასრულა.

„შუამთობის“ მონაწილეებს მიესალმნენ და სახალხო ზეიმი მიულოცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი ცინარიძემ.

- ჩემი ბავშვობა ამ მთასთან მაკავშირებს, - თქვა გიორგი ცინარიძემ, - აქ შემონახულმა „შუამთობის“ ადათ-წესებმა დროთა ქარტეხილებს გაუძლო და თაობიდან თაობას გადაეცემა. ხალხურ ტრადიციებთან ერთად, სიახლეებიც შესამჩნევია. მთა ღომა, მისი ინფრასტრუქტურა თანამედროვე მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. პირველ რიგში, მოწესრიგებული გზა უნდა შემოდიოდეს. საამისოდ მომავალში რიგი სამუშაოები შესრულდება.

თელავის რაიონის სოფელ ბუშეთის მკვიდრია ავთანდილ ლომაძე, რომელიც „შუამთობაზე“ შუახეველმა მეგობარმა მანუჩარ ქარცივაძემ მოიპატიჟა.

- აქამდე ამ მთების, აქ მოფუსფუსე ადამიანების, აქ შემონახული ხალხური დღესასწაულის შესახებ ცოტა მსმენოდა. ყველას მადლობა, რომ მომეცა შესაძლებლობა, ეს შესანიშნავი ზეიმი მეხილა და მთების სილამაზით დავმტკბარიყავი, - გვითხრა ავთანდილმა.

კურორტი ბეშუმი

მესხეთის ქედის ერთ ქვაბურშია ჩაგვირისტებული სამთო კურორტი ბეშუმი და მის შემოგარენში არსებული ხულოს მუნიციპალიტეტის 20-მდე სოფლის მკვიდრთა იალაღები. აქვეა ადიგენის მუნიციპალიტეტის ორი დიდი სოფლის - არალისა და უდეს მკვიდრთა საძოვრებიც. გოდერძის უღელტეხილის შემოგარენში კი ზაფხულს ბეღლეთ-დანისპარაულის ხეობის, ვაშლოვანის თემისა და სოფელ დიდაჭარის მოსახლეობა ატარებს.

„შუამთობის“ ზეიმის დღეები ყველაზე მეტად მემთეურებს ახარებთ. ამ ულამაზეს მთებში მათთან მოდიან ხულოს ბარის სოფლებში მცხოვრებნი და აქედან ქვეყნის 40-მდე ქალაქსა და რაიონში საცხოვრებლად გადასული მათი ახლობლები.

- უკვე სამი ათეული წელია, ნინოწმინდის რაიონის სოფელ სპასოვკაში ვცხოვრობ. „შუამთობა“ გამორჩეულად მიყვარს. იქაც წამოვიწყეთ სახალხო ზეიმი „ერთობა“, მაგრამ აქ

მოსვლა და ახლობლების, უსაყვარლესი ტერიტორიების მონახულება ყველაფერს მირჩევნია, - გვითხრა ალექსანდრე მიქელაძემ.

დაარსების დღიდან აქ გამართული ზეიმის მონაწილეებს თავიანთი ხელოვნებით ხიბლავენ ხულოს კულტურის ცენტრთან არსებულ უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბერმუხის“ წევრები. ასე იყო წელსაც.

- თაობათა ცვლის პროცესი ჩვენს ანსამბლში გარდაუვალი გახდა. უკვე მეორე წელია, „შუამთობის“ მონაწილეებს ვეღარ ართობს საუკუნის თანატოლი მუხამედ ირემაძე. ახლა ყველაზე უხუცესი 90 წელსაა მიტანებული. ერთი წევრი ვერ გვესწრება ჯანმრთელობის გაუარესების გამო. ანსამბლის ხელმძღვანელ რეზო აბულაძესთან ერთად შეიკრიბნენ უხუცესები, - გვითხრა ხულოს კულტურის ცენტრის დირექტორმა ჯუმბერ აბაშიძემ, - აქვე გეტყვით, რომ „შუამთობის“ ყველა მონაწილე ფეხზე წამომდგარი, ოვაციებით აცილებდა სცენიდან „ბერმუხას“. ამით ერთხელ კიდევ პატივი მიაგეს ხელოვნების იმ ნიმუშებს, რომლებიც ანსამბლის რეპერტუარშია და მის შემსრულებლებს.

ბეშუმის შემოგარენში გამართულ ზეიმს სასურველი და ძვირფასი სტუმარი არასდროს აკლდა. წელს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში, „შუამთობის“ ზეიმს პირველად დაესწრო ირაკლი კობახიძე. მასთან ერთად მოვიდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თო-

რნიკე რიყვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის, აჭარის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრები, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები, ჩვენებურები თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ინეგოლიდან მენან ფორთოქალისა (ფუტკარაძე) და ომერ დემირთაშის (მიქელაძე) ხელმძღვანელობით.

დღის 12 საათისთვის სამარილე სერის ფერდობი მოზეიმეებით გადაიჭედა. ღონისძიება მსახიობ ზურაბ ცინცქილაძესა და პოეტ ნანა შაინიძეს მიჰყავდათ. შეკრებილებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ.

- „შუამთობა“ გვაერთიანებს, გვაახლოებს. დღეს გვაქვს უფლება, მხრებგაშლილები და ამაყნი ვიყოთ. აჭარის მთიანეთს დიდი პოტენციალი აქვს, რომ წვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის გაძლიერებაში. დინამიკურად ვითარდება ეკონომიკა. აქამდე მოცემული ყველა პირობა შესრულდა, მომავალშიც სხვა საქმეებს ბოლომდე მივიყვანთ. მთას, თითოეულ ადამიანს, როგორც არასდროს, ახლა სჭირდება ჩვენი გვერდით დგომა. მადლობა საქართველოს მთა-

ვრობას, საკანონმდებლო ორგანოს, რომ ჩვენს ზეიმს იზიარებენ. გილოცავთ აქ შემონახულ, მრავალ განსაცდელსა და ჭირვარამგამოვლილ სახალხო დღესასწაულს. ზეიმს მივულოცავ ჩვენს მემთეურებს. სასიხარულოა, რომ უამრავი ახალგაზრდა ესწრება დღესასწაულს და აგრძელებენ იმ ტრადიციებს, თაობებმა რომ მოიტანეს, - თქვა თორნიკე რიყვაძემ.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა თავის გამოსვლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აჭარის მთიანეთში განხორციელებულ პროექტებს მიანიჭა. გამორჩეულად გაუსვა ხაზი ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის ხულო-ზარზმის 47-კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია-რესტავრაციას. „ხულო-ზარზმის გზაზე ბევრჯერ იყო საუბარი და მიხარია, რომ ეს პროექტი წელს ბოლომდე იქნება მიყვანილი... მიხარია, რომ დღეს ამ შესანიშნავ დღესასწაულს ვესწრები. იგი ტრადიციული სახალხო ზეიმია. ჩვენი მიზანია ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვა, რაც მომავალშიც გაგრძელდება. გილოცავთ „შუამთობას“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

ადამიანებზე, განსაკუთრებით, მთის ადათ-წესებზე მოფერებით იყო გაჯერებული საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის გამოსვლა:

- ძლიერი მთა ძლიერი ქვეყანაა. „შუამთობა“ ოჯახის წევრების, მეგობრების, მთისა და ბარის ერთიანობის ზეიმია. ეს მშვენიერი მთები ყველას გვაერთიანებს. ასეთი დღესასწაულები ჩვენი კულტურული იდენტობის შენარჩუნების ბალავარია. აქ ვზეიმობთ ჩვენს ერთიანობას, ვეფერებით ადათ-წესებს, კულტურას. მიხარია, რომ ამ შესანიშნავ ზეიმს ვესწრები, ერთმანეთს ვეფერებით. გილოცავთ და ვისურვებდი, რომ ჩვენს გულებში მუდამ სიყვარული სუფევდეს.

იხ. მე-7 გვ.

„შუამთობა-2024“

მე-6 გვერდიდან

მოზეიმეებს მიესალმნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე.

ტრადიციულად, ბეშუმში გამართული ზეიმისას, „საპატიო ხულოელებს“ ირჩევენ. ამჯერად ეს პატივი ანსამბლ „ბათუმის“ სოლისტ ჭაბუკა სურმანიძეს, ვეტერან საჯარო მოხელე გურამ აბულაძეს, ექიმ ლეილა ბოლქვაძეს, საფინანსო დარგის ვეტერან შალვა ჯორბენაძესა და საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრ ირაკლი

ქარსელაძეს ხვდათ წილად. მათ დიპლომები საზეიმო ვითარებაში თორნიკე რიჟვაძემ და ვახტანგ ბერიძემ გადასცეს.

- ამ კუთხისა და ხულოელებისადმი ყოველთვის კეთილგანწყობილი ვარ. ამიერიდან უფრო მეტს გავიჯრები, რომ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განვახორციელოთ. გაძლევთ პირობას, რომ ხულო-ზარზმის გზაზე სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება. განვითარებულმა მეწყერულმა პროცესებმა პრობლემები შექმნა. კვლავ პრობლემად რჩება დანისპარაულის მონაკვეთი. სპეციალისტების რეკომენდაციის შემდეგ, ეს პრობლემაც დაიძლევა, - გვითხრა ირაკლი ქარსელაძემ.

„შუამთობა“ იყო და რჩება ნიშნობის, ქორწილების სიმბოლოდ. ტრადიცია არც წელს დარღვეულა. ირაკლი კობახიძემ და თორნიკე რიჟვაძემ „მაყრულის“ ფონზე ახალი ოჯახის შექმნა დაულოცეს ზეინაბ ზოიძესა და ოთარ ბეჟანიძეს.

მისასალმებელი გამოსვლებისა და „ბერმუხას“ მიერ შესრულებული ცეკვა „განდაგანას“ შემდეგ ზეიმის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ ხულოს სახელოვნებო სკოლასა და კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები „ციცინათელა“, „ხულო“, „არგინეთი“, ანსამბლები „მერმისი“, „სხალთა“, „ღორჯომი“, ბენდები „ურსა“, „ბანი“ და „ქუჩის ბიჭები“.

- „შუამთობის“ ზეიმზე მეორედ ვარ, - გვითხრა „ბანის“ ხელმძღვანელმა კობა ნიკოლაძემ, - მე და ბენდის წევრები ბესო კვიციანი, ბექა მიქაძე, ბესიკ მეტრეველი, მათე ფირცხელავა, რაულ ბიწაძე, გელა გოგიშვილი მაქსიმალურად დავიხარჯეთ მოზეიმეთა გულების დასაპყრობად და, მგონი, საწადელს მივაღწიეთ.

„შუამთობის“ მნიშვნელოვანი ატრიბუტებია სპორტული პაექრობები და დოღი. გამარჯვებულები გამოვლინდნენ მკლავჭიდში, ფალავნობასა და 2, 4, 6-კილომეტრიან დისტანციებზე ცხენებით ჯირითში. გამარჯვებულები თასებით, მედლებითა და ფულადი პრიზებით დააჯილდოვეს.

- მრავალი „შუამთობის“ მონაწილე ვარ, - გვითხრა ვახტანგ ბერიძემ, - მაგრამ ასეთი ხალხმრავლობა პირველად ვნახე. ეს იმის ნიშანია, რომ ხალხურ ტრადიციას დავიწყება არ უწერია. მადლობა ყველას, ვინც ეს დღე გაგვილამაზა.

ჩირუხი

მრავალი სიახლით შეხვდა წლევანდელ „შუამთობას“ აჭარა-შავშეთის ქედზე არსებული მთა ჩირუხი. აქ ზაფხულს შუახევისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების მარეთისა და მაჭახლის ხეობების 30-მდე სოფლის მეცხოველეები ატარებენ. მაჭახლის ხეობის მკვიდრია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი როინ მალაყმაძე, მარეთის ხეობის მკვიდრია აკადემიური დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი არქეოლოგი, შუახევის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი ტარიელ ებრალიძე. იგი მაჭახლის ხეობაში ჩხუტუნეთის ისტორიულ ციხეზე გათხრებს ამერიკელ არქეოლოგთან, სიეტლის უნივერსიტეტის ლექტორთან, არქეოლოგიის დოქტორთან დევიდ გრეისთან და ამერიკელ დოქტორანტებთან ერთად ატარებს. მან და როინმა უცხოელი სტუმრები „შუამთობაზე“ მოიპატიჟეს. ბატონ დევიდს საზეიმო ღონისძიების დაწყებამდე გავესაუბრეთ.

- თავი სიზმარში მგონია, თვალს ვერ ვაშორებ ამ ლამაზ მთებს. უკვე მეორე წელია, საქართველოში ჩამოვდივართ და ჩხუტუნეთის ისტორიულ ციხეზე გათხრებს ვაწარმოებთ. აღმოვაჩინეთ ქვევრები, სხვა არტეფაქტები. შესანიშნავი ქვეყანა გაქვთ. მადლობა როინ მალაყმაძეს, ტარიელ ებრალიძესა და სულხან მამულაძეს, აქ რომ მომიყვანეს, - გვითხრა დევიდ გრეისმა.

ჯერ ბეშუმის, ახლა კი ჩირუხის „შუამთობები“ გაახალისეს ბენდ „ურსას“ წევრებმა გიორგი ძოწენიძემ, გიორგი გრიგალაშვილმა, ლევან ფერაძემ, კობა შენგელიამ, შოთა ქვარცხავამ.

- ბავშვობიდან ამ მთაში მოვდივარ, მემთეურის საქმეც კარგად ავითვისე. მრავალი „შუამთობა“ მახსოვს, მაგრამ წლევანდელი გამორჩეულია. ბენდმა „ურსამ“ ჩვენცა და ბავშვებიც გაგვახალისა, - გვითხრა სოფელ ტბეთის მკვიდრმა დარიკო მემიაძემ.

მემთეურს სტუმარი უყვარს. ტბეთელმა ირაკლი გოჩიტიძემ ეროვნული ადათ-წესების დამცველ მამას შირინ გოჩიტიძეს დაბადებიდან საუკუნოვანი იუბილე ჩირუხში (ჯინალი) გადაუხადა, შემდეგ კი ყველა სტუმარი ზეიმზეც მიიპატიჟა.

აგვისტოს ცხელი დღე მოზეიმეებმა რომ კარგად გაატარეს, ეს კიდეც დაადასტურა ჩვენთან კომენტარში ინდოეთის მკვიდრმა, „შუახევიჰესის“ დირექტორმა სატიშ რამეშ ბჰატმა. „ასეთი ზეიმი ამ მთებში პირველად ვნახე. სულით ძლიერი, საღი გონების ადამიანები, ცეკვა-სიმღერის მოტრფიალენი აქ მეორედ მოსვლის სურვილს გიჩენენ“, - გვითხრა მან.

შარშან და შარშანწინ ბიუჯეტიდან მნიშვნელოვან თანხები იყო მობილიზებული მთა ჩირუხის ცენტრის კეთილმოსაწყობად. გაკეთდა სცენა, სპორტული მოედანი, გარე განათება, სხვა ინფრასტრუქტურა. წლევანდელი ღონისძიების წამყვანმა, მწერალმა ვახტანგ გოგრაჭაძემ მისასალმებელი სიტყვისათვის სცენაზე შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე მიიწვია.

„ეს სახალხო დღესასწაული საუკუნეების სიღრმიდან იღებს სათავეს. ის ჩვენი კულტურის, იდენტობის, ტრადიციებისადმი ერთგულების გამოხატულებაა. აჭარაში ყველაზე ფასეულ ღონისძიებათა გვერდით „შუამთობაც“ მოიაზრება. მოხარული ვარ, რომ ამ მთაში ბოლო დროს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა,“ - თქვა მერმა.



ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, რომელმაც მთასთან დაკავშირებული ბავშვობის დროინდელი ეპიზოდები გაიხსენა.

ზეიმზე შეკრებილებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატებმა ანზორ ბოლქვაძემ, ფრიდონ ფუტკარაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ.

მუსიკალური ნომრები, სპორტული ასპარეზობები „შუამთობის“ განუყოფელი ნაწილია. როცა პატარა ნია ცეცხლაძემ „განდაგანა“ ჩამოუარა, მას ბატონი თორნიკე რიჟვაძე ეამბორა და მადლობა გადაუხადა. მოზეიმენი, „ურსასთან“ ერთად, ცეკვა-სიმღერით გაახალისეს შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა „ზე-კართან“, „მარეთმა“ და ბენდმა „117“.

ახალგაზრდები ერთმანეთს მკვლავჭიდსა და ქართულ ჭიდაობაში შეეჯიბრნენ. ჩირუხში „შუამთობა-2024“-ის ფალავანი რიჩარდ ფუტკარაზე გახდა და საზეიმო ვითარებაში ცხვარიც მას გადასცეს. მკლავჭიდში უძლიერესი ხვიჩა ბერიძე იყო.

ჩირუხში მშენებარე „ზიპლაინი“ მალე ქვეყნის მასშტაბით უმნიშვნელოვანესი ტურისტული ობიექტების სიაში ჩაეწერება და ამ მთას მეტი მნახველი ეყოლება. თორნიკე რიჟვაძემ აჭარის მთავრობის, ქვეყნისა და აჭარის საკანონმდებლო ორგანოების წევრებთან და აჭარის მთიანეთის აღმასრულებელი ორგანოების პირველი პირებთან ერთად, „ზიპლაინზე“ მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა და კომენტარი „აჭარასთან“ გააკეთა: „აჭარის მთიანეთის მოსახლეობას, გამორჩეულად მემთეურებს ვულოცავ „შუამთობის“ დღესასწაულს, რომელიც ჩვენი ერთიანობის, აქ შემონახული ტრადიციების და იმ დიდი შრომის დაფასების დადასტურებაა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ეწეოდნენ აქ მცხოვრები ადამიანები. გამორჩეულად მახარებს ის ფაქტი, რომ ზეიმს ამდენი ბავშვი და ახალგაზრდა ესწრება. ეს ნიშნავს, რომ წინაპრების დანატოვარი მათთვის ძვირფასია. სასიხარულოა ისიც, რომ ყველა დაპირება, რომელიც მთიანი აჭარის განვითარებისთვის, ხალხის კეთილდღეობისთვის გავეცით, შესრულებულია. კიდევ და კიდევ აღვნიშნავ ხულო-ზარზმის საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქციას, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება და რეგიონს ახალ სიცოცხლეს შესძენს, ხელს შეუწყობს ხულოს, შუახევის, ქედის განვითარებას, სასიკეთოდ აისახება თითოეული ოჯახის ეკონომიკაზე, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები. ეს იყო ყველაზე კრიტიკული ინფრასტრუქტურა, რომელიც ყველას ძალისხმევით მოგვარებულია. კიდევ ერთხელ შუახევის მოსახლეობას, მარეთის ხეობას, მთა ჩირუხს მინდა მივულოცო დღევანდელი ზეიმი, დიდი ტრადიციების შენარჩუნება, თაობებზე გადაცემა. ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ამბიციური პროექტი - ორზოლიანი „ზიპლაინის“ მშენებლობა. პროექტი სექტემბრის ბოლოსთვის დასრულდება. მისი სახით აჭარაში ახალი ტურისტული ლოკაცია გვექნება. შუახევის განვითარება, ტურისტული პოტენციალი ახალ ეტაპზე გადადის და პირველ რიგში, აქაურები ამ სიკეთეს მიზნობრივად გამოიყენებენ. ამ ულამაზეს მთებს კიდევ უფრო მეტი ტურისტი მოინახულებს. დარწმუნებული ვარ, ჩირუხი ღირსეულ ადგილს დაიჭერს მსოფლიოს ტურისტულ რუკაზე“, - თქვა ბატონმა თორნიკემ.

18 წლის კოლექციონერი გინესის რეკორდების სიაში პირველობისთვის იბრძვის

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი სტუმარია 18 წლის კოლექციონერი ***ნიკა ღელაღუტაშვილი****. იგი დისნეის გმირების ფიგურებს წლებია აგროვებს. მან ჯადოსნური და ფერადი სამყარო სახლში მოიწყო და თითქმის ყველა ის პერსონაჟი აქვს, რაც დისნეის ანიმაციურ ფილმებში გვინახავს. აღსანიშნავია, რომ ნიკა ამ კოლექციით გინესის რეკორდების სიაში პირველობისთვის იბრძვის, მეორე ადგილი მას უკვე წლების წინ დაუდასტურდა. როგორც თავად გვითხრა, ამჟამად 8 000-ზე მეტი ფიგურა აქვს. ნიკა სოციალურ ქსელებშიც საკმაოდ პოპულარულია, ერთ-ერთ პლატფორმაზე 380 ათასზე მეტი გამომწერი ჰყავს და თავის ფიგურებზე საინტერესო ამბებს გვიზიარებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ნიკა სამსახიობო სფეროთია გატაცებული და ერთ-ერთ ტელესერიალშიც მონაწილეობს.*

- ნიკა, როდის და რა მიზნით დაიწყეთ ფიგურების შეგროვება?

- ბავშვობიდან მიყვარდა დისნეის ფილმების პერსონაჟები, იქნებოდა ეს პინოქიო, დამბო თუ ა.შ. მინდოდა მათთან მემეგობრა და ახლოს ვყოფილიყავი. აქედან გამომდინარე, ინტერნეტში ქექვა დავიწყე და აღმოვაჩინე, რომ არსებობს დისნეის ანიმაციური ფიგურები, რომელიც სამწუხაროდ, იმ დროისთვის საქართველოში არ მოიპოვებოდა. ჩემი ფავორიტი ანიმაცია არის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ და მამას ვთხოვე, მისი გმირები ჩემთვის შეეძინა. მან ამერიკიდან, კერძოდ, „ამაზონიდან“ გამოიწერა დისნეის ექსკლუზიური ნაკრები. ძალიან მომეწონა და მალევე შემიყვარდა. იგი დღესაც განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ჩემს კოლექციაში. შემდეგ უკვე აზარტში შევედი, ახალი პერსონაჟები მომინდა, თუმცა, სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოში არ იშოვება ეს ფიგურები. უნდა გამოიწერო ამერიკიდან, იბრძოლო აუქციონებზე და ა.შ.

- რა სახის ფიგურებია თქვენს კოლექციაში?

- ეს არის ძალიან ბევრი ბრენდის დისნეის ანიმაციური ფიგურები, შეხვდებით ჯიმ შორის ხის კოლექციას, ულამაზესი ხის ფიგურებია. ასევე, ჩემს საყვარელ კერამიკის კოლექციას, საუბარი მაქვს „დისნეი შოუ კეისის“ ფიგურებზე, რომლებიც ყველაზე ძვირიანია ჩემს კოლექციაში და ასევე, პატარა დისნეის მინიატურებსაც, რომლებიც „დისნეი სთორის“ ექსკლუზიური ორიგინალი ფიგურებია. არის „გეიმინგ“ ფიგურებიც, საუბარი მაქვს „დისნეის ინფინიტის“ მოდელებზე, მაქვს ვინტაჟური ფიგურებიც, რომლებიც იმ დროს გამოვიდა, როდესაც უოლტ დისნეის 100 წლის იუბილე შეუსრულდა. ასევე, „ჰაშეტის“ ფრანგული კოლექცია, რომელიც მხოლოდ ლუვრში იყიდებოდა. საბედნიეროდ, სხვადასხვა ბრენდის უმეტესი კოლექცია სრულად მაქვს ჩემს პირად კოლექციაში.

- როგორ შეიძინეთ ისინი?

- მათი შეძენა მარტივი არ არის. რაღაც პერიოდში, საქართველოშიც იყო ასეთი ფიგურები, საუბარი მაქვს გერმანულ მინიატურულ ფიგურებზე, ასევე, შესაძლებელი იყო „სექენდ ჰენდშიც“ გამოჩენილიყო რაიმე, თუმცა ეს ხდებოდა ძალიან იშვიათად. ძირითადად, უნდა გამოიწერო, ან „იბეის“ აუქციონებზე იბრძოლო. „ამაზონზეც“, საკმაოდ ხშირად ჩნდება ფიგურები, ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი მოდელები გამოდის. „იბეიზე“ კი სახლიდან ყიდიან ფიგურებს, ხანდახან ისეთებსაც, რომლებიც ძალიან იშვიათია. ფეისბუქის „მარკეტფლეისზე“ მსოფლიო მასშტაბით ვათვალიერებ ფიგურებს. შესაძლოა, მაგალითად, ავსტრალიაში ან კანადაში გამოჩნდეს ისეთი ფიგურა, რომელიც კოლექციისთვის მჭირდება.

- საშუალოდ, ერთი ფიგურის ფასი რამდენია?

- ცხადია, ფიგურებს სხვადასხვა ღირებულება აქვს. მინიატურული ფიგურები შეიძლება ერთი დოლარი ღირდეს, შეიძლება 2000-3000 დოლარიც. ძვირად ღირებული კოლექციიდან, სამწუხაროდ, ერთი-ორია ჩემს კოლექციაში, ეს უკვე ძალიან დიდი ფუფუნებაა. ფიგურის ფასი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ძველია, როდის არის გამოშვებული, რამდენად ვინტაჟურია, ასევე, ავტოგრაფებიც განაპირობებს მის ღირებულებას - შესაძლოა, ფიგურას ძირზე ავტორის ავტოგრაფი ჰქონდეს დატანილი, ასევე, შესაძლებელია, ლიმიტირებული კოლექციის ფიგურა იყოს, ანუ, მხოლოდ და მხოლოდ 200-300, ან სულაც 20 და 30 ფიგურა იყოს გამოშვებული, ესეც განაპირობებს ღირებულებას. სხვათა შორის, მაქვს ერთი-ორი ფიგურა ავტოგრაფით.

- ამჟამად რამდენი ფიგურა გაქვთ?

- უკვე 8 000-ზე მეტი. აქვე უნდა აღვნიშნო ჩემი ძალიან დიდი სიყვარული „დისნეი ლენდისადმი“. ყველა ქვეყნის „დისნეი ლენდში“ ვარ ნამყოფი, ამერიკის გარდა. საუბარი მაქვს ჰონ კონგის, შანჰაის, ტოკიოს, პარიზის „დისნეი ლენდზე“. ამ უკანასკნელში ჩემი 18 წლის დაბადების დღე აღვნიშნე. ვფიქრობ, ამერიკის „დისნეი ლენდსაც“ ძალიან მალე მოვინახულებ. ალბათ, იმიტომ მიყვარს ასე ძალიან, რომ საშუალება მეძლევა, საყვარელ გმირებთან მქონდეს ურთიერთობა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ნამდვილი, ცოცხალი პერსონაჟები არიან და მათ ველაპარაკები.

- რომელი ფუგურა გიყვართ ყველაზე მეტად?

- ძალიან რთულია რომელიმე ერთის გამორჩევა, თუმცა ალისას პირველი კოლექცია, რომელიც მამამ მიყიდა, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებულია. ასევე, ძალიან მიყვარს კერამიკის კოლექცია, რომელიც ულამაზესია.

- როგორც ვიცი, თქვენი კოლექცია დაზღვეულია...

- დიახ, თუ მიწისძვრა მოხდა, ან გაუთვალისწინებელი გარემოებით დაზიანდა რომელიმე ფიგურა, კოლექცია დაზღვეული მაქვს. მას შეაფასებენ და ჩვეულებრივ ანაზღაურდება. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოვახერხე თაროების მინებით დაფარვა, ღია თაროებზე მაქვს განთავსებული, თუმცა, სამომავლოდ, ფიგურების უსაფრთხოებისთვის, თაროების მინით დაფარვას აუცილებლად ვაპირებ.

- სოციალურ სივრცეში საკმაოდ ბევრი გამომწერი გყავთ...

- დიახ, „ტიკტოკზე“ 380 000-ზე მეტი ქართველი გამომწერი და გულშემატკივარი მყავს, „ინსტაგრამზე“ კი 40 000-ზე მეტი. მინდა მთელი გულით მოვიკითხო თითოეული მათგანი, ისინი ძალიან დიდ მოტივაციას მაძლევენ. ადევნებენ თვალს ჩემს კოლექციას, მისვამენ სხვადასხვა სახის კითხვას, მაძლევენ რჩევებს. სხვათა შორის, „ტიკ ტოკზე“ ჩემს კონტენტში ბებიაც იღებს მონაწილეობას და ჩემი დაც. ვფიქრობ, ძალიან გამიმართლა, რომ ასეთი კარგი აუდიტორია მყავს და მათთან ურთიერთობა მაქვს. თავდაპირველად, „იუთუბზე“ მქონდა გვერდი, სადაც დღეს 20 ათასზე მეტი გამომწერი მყავს. ერთი წლის განმავლობაში ვიღებდი სხვადასხვა სახალისო ვიდეოებს, მქონდა ფიგურების განყუთვის ვიდეოები, ეს პროცესი ჩემთვის რთული არ ყოფილა. ძალიან მალევე მივეცი ამ ყოველივეს სერიოზული სახე და დღეს საკმაოდ ბევრ კომპანიასთან ვთანამშრომლობ ხანგრძლივი, წარმატებული ხელშეკრულებებით.

- თქვენს პროფესიაზე გვიამბეთ, როგორც ვიცი, მსახიობი ხართ...

- პირველი ნაბიჯები სამსახიობო კარიერაში ტელესერიალ „ცვალებად ნიშნებს“ უკავშირდება, რომელიც „კავეა +“-ზე გადის. ვთამაშობ მათეს როლს, ძალიან საინტერესო პერსონაჟია. სიმართლე გითხრათ, ყოველთვის მიზიდავდა ნეგატიური პერსონაჟების ყურება და აღმოჩნდა, რომ თამაშიც. კმაყოფილი ვარ ჩემი პირველი როლით და დიდი იმედი მაქვს, მაყურებელსაც მოსწონს. მალე სერიალის მესამე სეზონი იწყება და მაყურებელს ბევრი საინტერესო რაღაც ელოდება.

- მშობლების დამოკიდებულება როგორია თქვენი ჰობის მიმართ?

- მინდა მათ სახალხოდ გადავუხადო ძალიან დიდი მადლობა ხელშეწყობისთვის, დახმარებისთვის. არასოდეს უთქვამთ - რატომ აგროვებ, რად გინდა... მამა, ბებია ყოველთვის მეხმარებიან, იგი არა მხოლოდ ბებია, ჩემი უფროსი მეგობარია. სხვათა შორის, მშობლებთან დაკავშირებით ბევრი კითხვა აქვთ, აინტერესებთ, სად არიან, რას შვებიან. ბევრს ჰგონია, რომ ემიგრანტები არიან, მამაჩემი კი ოლიგარქი ჰგონიათ (იცინის). ასე არ არის, ისინი ჩემთან ერთად ცხოვრობენ საქართველოში, უბრალოდ, არ უყვართ სოციალურ სივრცეში გამოჩენა.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- ჩემი მიზანია, დავიპყრო ჰოლივუდი (იცინის), ასევე, ვიმუშაო „დისნეი ლენდში“ ანიმატორად. სხვათა შორის, უკვე მაქვს გარკვეული სახის შემოთავაზებები. შანჰაიში, ორლანდოს დისნეის კოლეჯში გასაუბრება გავიარე და ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ განათლება ამერიკაში მივიღო. ჩემი ფავორიტი კოლეჯიდან მოწვევაც მივიღე. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი შანსია, რომ მარტში ამერიკაში გავაგრძელო სწავლა ჩემი საყვარელი პროფესიით, კინო-სამსახიობო ფაკულტეტზე.

გონიოს ციხის განახლებული სამუზეუმო სივრცე გაიხსნა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორიაზე სამუზეუმო სივრცე განახლდა, პეტრას ციხის ტერიტორიაზე კი ახალი სამუზეუმო სივრცის მოწყობა დასრულდა.

ახალ, თანამედროვე ტიპის სამუზეუმო სივრცეებში განთავსებულია გონიოსა და პეტრას ციხეზე არქეოლოგიური ექსპედიციების დროს აღმოჩენილი არტეფაქტები. გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი 1994 წელს დაარსდა. ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპედიციებისას, ციხის შიდა ტერიტორიაზე არაერთი არქიტექტურული ნაშთი თუ არტეფაქტი აღმოჩნდა. 2008 წელს ციხის ცენტრალურ ნაწილში გაიხსნა საგამოფენო სივრცე, სადაც წარმოდგენილი იყო იმ დროისათვის აღმოჩენილი ნივთები.

გონიოს ციხის განახლებული სამუზეუმო სივრცის გახსნის ოფიციალურ ღონისძიებას ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში რესან კონცელიძე, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, უმაღლესი საბჭოს წევრები ტიტე აროშიძე და დავით ბაციკაძე, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ასევე, აჭარის მთავრობის, სამეცნიერო წრეებისა და სამუზეუმო სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელის ზაურ ახვლედიანის განცხადებით, სააგენტოს ინიციატივითა და ფინანსური უზრუნველყოფით, ამჯერად განახლდა მუზეუმის ინტერიერი, მოეწყო თანამედროვე სტანდარტების სამუზეუმო სივრცე, გადახალისდა და განახლდა სამუზეუმო ექსპონატები, შიდა სივრცეს დაემატა ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი არტეფაქტები, ტერიტორიაზევე განთავსდა „რომაული ყაზარმა“.

„მოხარული ვარ, რომ დღეიდან ბათუმელები და ჩვენი ქალაქის სტუმრები თანამედროვე სტანდარტების სამუზეუმო სივრცით სარგებლობას შეძლებენ. გონიო-აფსაროსის კომპლექსი მნიშვნელოვანი ობიექტია როგორც არქეოლოგიურ-არქიტექტურული, ასევე ტურისტული მიმართულებით, რადგან ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ საინტერესო ატრაქციას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ ისტორიული ძეგლები, სათანადოდ მოვუაროთ მათ და გადავცეთ მომავალ თაობებს“, - განაცხადა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

გიორგი ანწუხელიძე – გამარჯვების სიმბოლო!

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

2008 წლის აგვისტოს იმ მძიმე დღეებს როცა ვიგონებთ, გული დარდით გვევსება. ჩვენ, უფროსები, ამას სულ სხვაგვარად განვიცდით, მოზარდები კი კარგად ვერ აცნობიერებენ, თუ რა მოხდა იმ მძიმე ზაფხულის ხუთ დღეს. მაგრამ... აქ პატარა გადახვევას გავაკეთებ

2024 წლის 26 მაისს თბილისში ვიმყოფებოდი. მართალია, დედაქალაქში დღესასწაულის აღსანიშნავად არ წავსულვარ (ექიმთან ვიზიტი მქონდა ჩანიშნული), მაგრამ მაინც გადავწყვიტე შევვერთებოდი იმ ადამიანებს, ვინც მიუხედავად ცუდი ამინდისა, მაინც გამოვიდა რუსთაველზე, სადაც ამ ზეიმის ძირითადი ადგილი იყო. მეტრო „თავისუფლებაზე“ ამოვედი, მინდოდა, იქიდან ჩავყოლოდი ქუჩას. მეტროს გამოსასვლელთან ერთი ახალგაზრდა კაცი მოვიდა და საყიდლად წიგნი შემთავაზა, ვკითხე, რა წიგნია-მეთქი. გიორგი ანწუხელიძეზეო. დაუფიქრებლად გავუწოდე ფული და, რა თქმა უნდა, შევიძინე. თან გულში გავიფიქრე: თავისუფლების მოედანზე, წიგნი თავისუფლებისთვის ზვარაკად შეწირულ ბიჭზეა და თან დამოუკიდებლობის დღეს რომ გთავაზობენ, ალბათ, არის ამაში რაღაც დამთხვევა-მეთქი. გარეთ საკმაოდ წვიმდა, გადაღებას დაველოდე, თან თვალებით იმ ბიჭს ვეძებდი... ვიპოვე კიდეც. ვკითხე, ავტორი ვინ არის და, მეო, - მიპასუხა. გიორგი ტაბიძე აღმოჩნდა. მინდოდა გავსაუბრებოდი, მაგრამ ჩქარობდა, მაშინ ფოტო გადავიღოთ და ავტოგრაფიც დამიწერე-მეთქი. ესეც ნაჩქარევად შემისრულა. იცით, რატომ მომინდა მასთან გასაუბრება? თან გამიხარდა, თან გამიკვირდა, რომ ახალგაზრდა კაცს ეროვნულ გმირზე მოუნდა წიგნის დაწერა.

როცა ომი დაიწყო, გმირი გიორგი 24 წლის იყო, წიგნის ავტორი გიორგი კი 12-ის. დედამ სახლში მისული გააფრთხილა, არსად წასულიყო. „მახსოვს ომის მცირე დეტალები: როგორ აშუქებდნენ ცეცხლისგან გადათუთქულ შენობებს, ნაკუწებად ქცეულ სახლებს, განადგურებულ მანქანებს. მახსოვს გადაცემები ჯარისკაცებზე, მათ სიმამაცეზე და მათ გმირულ სიკვდილზე. დრო გადიოდა და მართლაც ბევრი გადაცემა იწერებოდა აგვისტოს ომზე.... ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელია ქართველი მებრძოლი, რომელსაც აწამებდნენ, წიხლებით შედგნენ, მაგრამ მაინც ვერ დაიჩოქეს, მაინც ვერ გატეხეს. მის თავზე არსებული მეწამული ცარგვალის ქვეშ სიცოცხლე ვეღარ ღვიოდა. იგი მაინც არ დრკებოდა და ტირან მტერს დუმილით ეკვეთებოდა; იარებიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ კვლავ მებრძოლის თვალებით იცქირებოდა.... თვალებში საქართველოს მთელი ისტორია ეხატა. უბრძანებდნენ, რომ ოსეთის მიწისთვის ეკოცნა, რომ საკუთარი სამშობლოს დროშა ფეხით გაეთელა, მაგრამ წამითაც არ შეტორტმანებულა. მასში წამითაც კი არ აკიაფებულა სიკვდილის შიში... ჩვენმა გმირებმა საქართველო შემოგვინახეს.... ეს კადრები ახლაც თვალწინ მიდგას და უსაზღვრო მოტივაციას მაძლევს.... თავად გიორგი ანწუხელიძე იყო, არის და იქნება ჩემთვის მოტივაცია, ჩემთვის სამაგალითოა მისი მოთმინება, შეუპოვრობა, მუხლმოუდრეკლობა და ქედმოუხრელობა.... როგორ ამაყად იცავდა საქართველოს სახელს...“, - წერს პროლოგში ავტორი.



წიგნი მთლიანად გიორგი ანწუხელიძის ხანმოკლე, მაგრამ დაბადებიდან გმირობამდე მისულ ცხოვრებას ეხება, არის ბიოგრაფიული ხასიათის - მშობლები, ახლობლები, პირველი ზარი, პირველი მასწავლებელი, მისწრაფებები, ბავშვობა, მოზრდილობა... ყველაფერი ის, რაც მოჰყვება სოფელში ბიჭის ცხოვრებას - თევზაობა, ნადირობა (მამასთან ერთად), ცხენის გახედნა, ალაზანში პატარა ბიჭის გადარჩენა, სავალდებულო ჯარი, ეროაყში სამსახური, დაბრუნება, სიყვარული, შვილების შეძენით გამოწვეული დიდი სიხარული... მისი გამაოგნებელი გმირობა...

...გიორგი ანწუხელიძის ცხედარი ექსპერტიზამ დაადასტურა, ის და სხვა გმირები თბილისში, მუხათგვერდის სასაფლაოზე არიან დაკრძალულნი. ცხედრებს საპატიო გაცილება მოუწყვეს. ეს ის ბიჭები იყვნენ, ვინც ცხოვრებას მხოლოდ ახლა იწყებდა. „უთანასწორო ომმა ყველაფერი სხვაგვარად დახატა... მათ უკვდავ სულებს დრომ ვერაფერი დააკლო. დღემდე ვიხსენებთ გმირებს და დღემდე გვახსოვს ეს სისხლიანი აგვისტო, ასე იქნება მარად“...

2013 წლის 13 აპრილს გიორგი ანწუხელიძეს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა, მის სახელს ატარებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სერჟანტთა მომზადების აკადემია, თუშეთში კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ განშტოებაზე მდებარე ერთ-ერთი უსახელო მწვერვალიც მის სახელს ატარებს, 2021 წელს მასზე დოკუმენტური ფილმი გადაიღეს, სოფელ ქვემო ალვანში მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი კვირეული იმართება. გიორგი ანწუხელიძეს დარჩა ორი შვილი - ლევანი და ანა.

გიორგი ანწუხელიძე ჭეშმარიტი გმირია, იცოდა, რომ „სიკვდილი გარდაუვალი იყო, მაგრამ მაინც არ შედრკა, არ დაიჩოქა, ვერ უღალატა საქართველოს, თავის ოჯახს... თავისი ცხოვრებით მაგალითი დაგვიტოვა, რომ გვებრძოლა, ლევან და ანა ანწუხელიძეებს დაუტოვა სიტყვა! სიტყვა - უშიშრობის! სიტყვა - სამშობლოს სიყვარულის! სიტყვა - ერთგულების! სიტყვა - რწმენის! და, რაც მთავარია, სიტყვა - მშვიდობის!“, - წერს ავტორი.

გიორგი ტაბიძის წიგნი „საქართველოს ეროვნული გმირი - გიორგი ანწუხელიძე“, გმირის მეუღლის - მაკა ჩიკვილაძის, მამიდის - ეთერ ანწუხელიძის, დების - ნათია და ხათუნა ანწუხელიძეების, მისი მასწავლებლის - ლილი მუთარზაშვილის, მეგობრის - გიორგი კურდღელაშვილის მიწოდებული ინფორმაციით დაიწერა (წიგნის რედაქტორია ნაზი მეშველიანი, დიზაინერ-დამკაბადონებელი - ზაზა გელაშვილი).

წიგნი, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით იკითხება. ვფიქრობ, იგი ყველა ქართველმა უნდა წაიკითხოს და განსაკუთრებით ახალგაზრდობამ.

რაც შეეხება თავად ავტორს, გიორგი ტაბიძეს, მან ლექსებისა და მოთხრობების წერა 15 წლიდან დაიწყო. პირველი კრებული 2021 წელს გამოაქვეყნა. ამჟამად 5 წიგნის ავტორია. როგორც ამბობს, მომავალში წიგნის გამოცემას კვლავ აპირებს.

თემურ სამხარაძე ევროპის ჩემპიონია

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

სტამბულში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ წოლჭიმში, რომელშიც წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრების წევრმა, აჭარის ათლეტიზმის რეგიონალური ფედერაციის წევრმა თემურ სამხარაძემ. მას 120+ კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერავინ აჯობა და ევროპის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სპორტის ამ სახეობაში, ისტორიაში პირველად, საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაშიც პირველი ადგილი დაიკავა.

ვულოცავთ საქართველოს ნაკრებს, მათ მწვრთნელებს ამ შესანიშნავ წარმატებას!

განცხადებებები

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს

ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში

საკონკურსო მასალა იგზავნება დევიზით (დევიზი უნდა მიეთითოს როგორც კონვერტზე, ასევე შიგთავსზე).

ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო ლექსები, მეორე კონვერტით - ავტორის გვარი და სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების სათაურები (როგორც კონვერტზე, ასევე ლექსებზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოს წევრებისა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დაწესებულია პრემიები:

პირველი პრემია (1500 ლარი) - ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან;

მეორე პრემია (1000 ლარი) - კერძო პირ ელდარ ალიევისაგან;

მესამე პრემია (600 ლარი) - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან;

მეოთხე პრემია (400 ლარი) - თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტისაგან.

საკონკურსოდ იგზავნება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ლექსები, არა უმეტეს ხუთისა, ნაბეჭდი ფორმით.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართება სოფელ რუსთავში, პოეზიის ტრადიციულ სახალხო დღესასწაულ „შოთაობაზე“.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2024 წლის 10 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქუჩა №3.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

კონკურსი – სტუდენტებისთვის

სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ კონკურსი გამოაცხადა.

პროგრამის ფარგლებში შესული ცვლილების თანახმად, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ სტუდენტებს, რომელთა ოჯახების მაქსიმალური სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში ნაცვლად 100 000-ისა, განისაზღვრა 150 000-ით.

განაცხადების მიღება დაწყებულია და 30 აგვისტოს ჩათვლით (18:00 საათამდე) გაგრძელდება.

თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სტუდენტი, რომელიც პროგრამაში ჩაერთვება, ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:

http://adjara.gov.ge/description.aspx?gtid=1194287

დირექტორი
მამუკა ბერიძე

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
კოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3.

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროვნის ქ. №2ᵃ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 8/08/24, 17 55 სთ.

რეკლამა დაგვირეკეთ: 27-48-93 ეფირი

საერთაშორისო ფესტივალს „ღამის სერენადები“ მისი დამაარსებლის, ლეგენდარულ მევიოლინე ლიანა ისაკაძის სახელი მიენიჭა

წელს ფესტივალი აღდგენიდან მე-16-ედ ჩატარდება და საქართველოს სამი ქალაქი: ბორჯომი, ბათუმი და თბილისი უმასპინძლებს. ფესტივალი 21 აგვისტოს ბორჯომში, სასტუმრო „ბორჯომი ლიკანში“, ღია ცის ქვეშ, საზეიმოდ გაიხსნება

23 აგვისტოს, 20:00 საათზე, ბათუმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში, მარიო სტეფანო პიეტროდარკი (ბანდონეონი, იტალია) და ფესტივალის საბაზო ორკესტრი საქართველოს ვირტუოზები (პირველი ვიოლინო ლელა მჭედლიძე) შეასრულებენ ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებს: ენიო მორიკონე - სამი თემა; ნინო როტა - მიძღვნა ფედერიკო ფელინის; ხალედ მუზანარი - პოპური; კარლოს გარდელი - Volver; Por una Cabeza; ასტორ პიაცოლა - მელოდია ლა მინორი; Adios Nonino; Vuelvo al Sur; Milonga del Angel; დიდი ტანგო.

ფესტივალის მეორე საკონცერტო დღეს, **25 აგვისტოს, 20:00 საათზე,** ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი უმასპინძლებს ელვინ ხოჯა განიევს (ვიოლინო, აზერბაიჯანი/თურქეთი) და ფესტივალის საბაზო ორკესტრს „საქართველოს ვირტუოზები“ (პირველი ვიოლინო - ლელა მჭედლიძე). საკონცერტო პროგრამაშია: ანტონიო ვივალდის - წელიწადის დრონი; ასტორ პიაცოლას - ბუენოს-აირესის წელიწადის დრონი; ნიკოლო პაგანინის - კაპრისი №24.

15 სექტემბრიდან „ღამის სერენადები“ თბილისში გადაინაცვლებს. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში **15 სექტემბერს, 20:00 საათზე,** ბეატრიჩე ვენეცი (დირიჟორი, იტალია), სანდრო ნებიერიძე (ფორტეპიანო, საქართველო) და ეროვნული სიმფონიური ორკესტრი შეასრულებენ ოტორინო რესპიგის რომის პინიებს, სერგეი რახმანინოვის საფორტეპიანო კონცერტს No. 3 რემინორი, თხზ. 30.

17 სექტემბერს, 20:00 საათზე, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზი მარიამ როინიშვილის (სოპრანო, საქართველო), ლიზი რამიშვილის (ჩელო, საქართველო), გიორგი ოიკაშვილის (კლარნეტი, საქართველო) და ფესტივალის საბაზო ორკესტრის „საქართველოს ვირტუოზები“ (პირველი ვიოლინო ლელა მჭედლიძე) ერთობლივ კონცერტს უმასპინძლებს. საკონცერტო პროგრამაშია: ალბერტო ნეპომუსენუს - სიმებიანი კვარტეტი №3 „Brasiliero“; ალბერტო ნეპომუსენუს - Andante espressivo სიმებიანი საკრავებისთვის; ალბერტო ნეპომუსენუს - სერენადა სიმებიანი საკრავებისთვის; ჰეიტორ ვილა-ლობოსის - მე-18 საუკუნის პოეტის სიმღერა, Cancao de cristal, Samba Classico, Modinha, Melodia Sentimental; შიკინია გონზაგას - Corta Jaca; ზეკინია დე აბრეუს - Tico Tico.

„ღამის სერენადები“ **18 სექტემბერს, 18:00 საათზე,** თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაგრძელდება და ჩეხი კომპოზიტორის ბედრჟიხ სმეტანას 200 წლის იუბილეს მიეძღვნება. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ გიორგი შავერზაშვილი (ფორტეპიანო, საქართველო) და გიორგი ხაინდრავა (ვიოლინო, საქართველო). მუსიკოსები ბედრჟიხ სმეტანას და ანტონინ დვორჟაკის ნაწარმოებებს დაუკრავენ.

წლევანდელი ფესტივალი **20 სექტემბერს, 20:00 საათზე,** თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში საზეიმოდ დაიხურება. დასკვნით კონცერტზე მსმენელის წინაშე წარსდგებიან ანდრეს გაბეტა (ვიოლინო/დირიჟორი, საფრანგეთი), მორის შტიგერი (ბლოკ ფლეიტა, შვეიცარია) და ფესტივალის საბაზო ორკესტრი საქართველოს ვირტუოზები (პირველი ვიოლინო ლელა მჭედლიძე). პროგრამაშია: ევარისტო ფელიჩე დალაბაკო - კონცერტი რე მაჟორი, თხზ.5 №6 - ჩაკონა; ანტონიო ვივალდი - კონცერტი ფლეიტისთვის სი-ბემოლ მაჟორი, RV 375; ანტონიო ვივალდი - კონცერტი ვიოლინოსთვის დო მაჟორი, RV 190; ანტონიო ვივალდი - კონცერტი ფლეიტისთვის რე მაჟორი „II Gardellino“, RV 428; პიეტრო ლოკატელი - კონჩერტო გროსო დო მინორი, თხზ.1 №11; ანტონიო ვივალდი - კონცერტი ბლოკ-ფლეიტისთვის დო მაჟორი, RV 443; ანტონიო ვივალდი - კონცერტი ვიოლინოსთვის რე მაჟორი, RV 208 „Grosso Mogul“; ანტონიო ვივალდი - კონცერტი ვიოლინოსა და ბლოკ-ფლეიტისთვის სოლ მაჟორი, RV516.

საკონცერტო პროგრამასთან ერთად ფესტივალის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამას მოსწავლე ახალგაზრდებისათვის, მათ შორის, შშმ პირებისთვის, რომელიც მოიცავს დარგობრივ მასტერკლასებს, ვორქშოპებსა და ღია ლექციებს. ასევე ტრადიციულად, ჩატარდება მხატვრების გამოფენები.

ფესტივალის მხარდამჭერები არიან: საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტრო, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მერია, ქალაქ ბათუმის მერია, ქალაქ ბორჯომის მერია, იტალიის საელჩო საქართველოში, ბრაზილიის საელჩო საქართველოში, ჩეხეთის საელჩო საქართველოში.

მასპინძელი სასტუმროები: „ბორჯომი ლიკანი“, „ჰილტონ გარდენ ინნ თბილისი“.

ფესტივალის პარტნიორი: ეროვნული სიმფონიური ორკესტრი. ფესტივალის მხარდამჭერი კომპანიები: „ჯიპისი აფთიაქი“, მცენარეული კოსმეტიკის ფუძემდებელი საფრანგეთიდან „ივ როშე“, პრემიუმ კოსმეტიკის ვეგანური, ქართული ბრენდი „პიელ ნატურალსი“. ძმები ხუციშვილების „ღვინის მარანი“, ღვინის კომპანია „GEORGIAN LEGEND“.

ფესტივალის საინფორმაციო მხარდამჭერები: აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, საქართველოს პირველი არხი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „იმედი“, „პოს ტვ“, „ევრონიუს ჯორჯია“, მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან ტაიმსი“, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, მედია და ციფრული კომუნიკაციების საგენტო „კლიპ არტი“, საინფორმაციო პორტალი „ambebi.ge“, საინფორმაციო საგენტო „პრაიმ ტაიმი“, ინგლისურენოვანი გაზეთი „Today“, ინგლისურენოვანი ყოველდღიური გაზეთი „Messenger“, ჟურნალი „სარკე“, გაზეთი „აჭარა“, ონლაინ მედია „აჭარა თაიმსი“, რადიო „ფორტუნა“ და ვებპლატფორმა „ფორტუნა.ჯი“.